ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ლევან მურუსიძე უვადო მოსამართლედ აირჩიეს

გვ.7



„თეა წულუკიანთან კარგი ურთიერთობა არასდროს მქონია“

**25 დეკემბრიდან**

შიო გვეტაძე

**მონანიება**




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

პარასკევი, 28 დეკემბერი, 2018 | №308 (7853) | ფასი: 60 თეთრი

# „ქართული ოცნება“ იშლება



დადგება თუ არა დღის წესრიგში გვ.2 ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტი



## რატომ გადადგა ეკა ბესელია

„ბესელიას გადადგომა მხოლოდ მოსამართლეების სიას არ უკავშირდება“

## „ივანიშვილზე მალე სკანდალურ ინფორმაციას გაიგებთ“



ზვიად კუპრავა: „აფხაზეთიდან სიგარეტის კონტრაბანდას გვ.3 შონია-შენგელიას კლანი მფარველობდა“



გვ.2



გელა ნიკოლაიშვილი: „ეს სია პარლამენტში ვერ გავა“

## ნუკრი ქანთარია: „ცვლილებები მთლიანად „ქართულ ოცნებას“ უნდა შეეხოს“



გვ.4

## ხატია დეკანოიძე: „როცა არჩევნებზე კრიმინალებს იყენებ, შემდეგ ის გამოგიყენებს შენ“

გვ.4



**სამართალი** გვ.7



## ლევან შონიას 5.000-ლარიანი გირაო შეეფარდა



## ჩხოროწყუს პოლიციის უფროსი ჯუმბერ იზორია სამსახურში აღადგინეს



## ფონიჭალაში მამაკაცი მოკლეს

**ეკონომიკა** გვ.6

## თაღლითური სქემა ამოქმედდა — მოსახლეობას განულებული ვალების დაბრუნებას სთხოვენ



## თბილავიამშენის ხელმძღვანელობა აქციონერების ბრალდებებს უარყოფს




## საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არჩილ გაჩეჩილაძის კანდიდატურა განიხილება





ISSN 1987-9385

5 მამუკა ტუსკაძე: „უზენაეს სასამართლოში დასანიშნად წარდგენილი ყველა მოსამართლე ბიუროკრატია“

4 კობა გვენეტაძე: „დოლარიზაცია ეკონომიკის მთავარ გამოწვევად რჩება“

5 ისლამური სახელმწიფო დამარცხებული არ არის

8 პუტინი ახალი რაკეტებით იმუქრება

# „ქართული ოცნება“ იშლება

## დადგება თუ არა დღის წესრიგში ირაკლი კობახიძის იმპიჩმენტი

შორენა მარსაგიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ გამოცხადებული მორატორიუმი დასრულდა და ივანიშვილის მზის ქვეშ ადგილის მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა დაიწყო. გუნდებად დაყოფილი მეოცნებენი დაპირისპირებას უარყოფდნენ, მაგრამ ეკა ბესელიას გადადგომამ ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი.

ხმები ეკა ბესელიას თანამდებობიდან გადაყენების შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამის შესახებ ალაპარაკდა, პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ემზარ კვიციანი იყო. წლის დასაწყისში მან „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ნაციონალებთან დაახლოებული მეოცნეები ეკა ბესელიას გადაყენებასა და მის ადგილზე ვანო ზარდიაშვილის დანიშვნას აპირებენ.

რამდენიმე კვირის წინ „ახალ თაობასთან“ საუბარში უკვე ქართული მარშის ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ გააკეთა ასეთი განცხადება. მისი თქმით, კობახიძე-თალაკვაძე-მდინარაძის დაჯგუფება პარლამენტში ყველა საკვანძო თანამდებობის ხელში ჩაგდებას აპირებს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი კი პარლამენტში მთავარი კომიტეტია.

სანდრო ბრეგაძის თქმითვე, ეკა ბესელიას ადგილზე კობახიძის თანამოაზრეები ვანო ზარდიაშვილის დანიშვნას აპირებენ.

ვანო ზარდიაშვილი რომ ამ თანამდებობისთვის ემზადებოდა, ეს ეკა ბესელიას განცხადებიდანაც ჩანს. გადადგომის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში ბესელიამ აღნიშნა, რომ ზარდიაშვილს თანამდებობას ვერ დაუტოვებდა. აღსანიშნავია, რომ ბესელიასთან ერთად თანამდებობა ვანო ზარდიაშვილმაც დატოვა, რომელსაც, თავის მხრივ, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა.

როგორც „ახალ თაობას“ „ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, ბესელიასგან დიდი ხანია ითხოვენ თანამდებობის დატოვებას. დიდი გაწევ-გამოწევის შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარე გადადგომას ერთი პირობით დათანხმდა, მასთან ერთად კომიტეტიდან ვანო ზარდიაშვილიც უნდა წასულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბესელია სკანდალით დაიმუქრა.

ზარდიაშვილი წავიდა, მაგრამ ბესელია სკანდალს მაინც აპირებს. მან განაცხადა, რომ რაღაცებს იტყვის. რაღაცის თქმას აპირებს პარლამენტის თავმჯდომარეც. მისი თქმით, ბესელიას გადადგომა „ოცნების“ შიდა სამზარეულოა, მაგრამ რაღაცები გარეთ მაინც გამოვა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, „ოცნებაში“ დიდი ამბოხება დაიწყოს და დეპუტატებმა კობახიძის გადაყენების საკითხი დააყენონ. პარლამენტის სპიკერის გაიმპიჩმენტებაზე ერთხელ უკვე იყო საუბარი.

მაშინ „ოცნებაში“ ბუნტი ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ხელახალი შემოსვლით გაანელა. ახლა ამის განელება ასეთი იოლი აღარ იქნება. გუნდში უკვე ღიად დაიწყო შიდა დაპირისპირება.

ბესელიამ თანამდებობის დატოვების ოფიციალურ მიზეზად უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების საკითხი დაასახელა.



### რატომ გადადგა ეკა ბესელია

მისი თქმით, მოსამართლეების სიაში, რომელიც იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ წარადგინა, არიან ის ადამიანები, რომლებიც მისი შვილის, ძმისა და თანაგუნდელების „პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე იყვნენ მოსამართლეები“.

– ფიქრის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. ამ გადაწყვეტილებით გუშინ შევაჩერეთ პროცესი, რომელიც, მიმაჩნია, რომ იყო ძალიან საზიანო და ეხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის ნაჩქარევ და გაუმართლებელ პროცესს. ეს გადაწყვეტილება მივიღე იმიტომ, რომ საზოგადოებას მიეცეს საშუალება, პროცესი იხილოს გამჭვირვალე და იყოს ჩართული მოსამართლეების მაღალი რეპუტაციის მქონე პირების გამოკვეთასა და მათ შერჩევაში. ეს პროცესი უნდა იყოს უცილობლივ კრიტერიუმებით დადგენილი წესით, უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, უნდა იმუშაოს კომიტეტმა და პარლამენტმა იმ პროცედურის სრული დაცვით, რომელიც ამ პროცესს გახდის გამჭვირვალეს, სამართლიანსა და სწორს. სია უნდა იყოს გაწვეული და არა შეჩერებული.

სიაში არიან ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ ჩემი შვილისა და ძმის პოლიტიკური საქმის მოსამართლეები იყვნენ, არამედ სიაში არიან ადამიანებიც, რომლებიც ჩემი თანამებრძოლების პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე იყვნენ მოსამართლეები. მიმაჩნდა, მიმაჩნია და ყოველთვის ეს განწყობა მექნება, რომ უზენაეს სასამართლოს უნდა ჰყავდეს ის მოსამართლეები, ისეთი რეპუტაციის მქონე იურისტები, რომლებიც არ ემსახურებოდნენ სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს. ჩემი მთავარი იდეალი ყოველთვის იყო და იქნება სამართლიანობისთვის ბრძოლა, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, რატომ დაუკავშირდა გადადგომა მოსამართლეების საკითხს.

ჟურნალისტებთან საუბარში პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მოსამართლეობის კანდიდატების საკითხზე პარტიის თავმჯდომარის მონაწილეობითაც გაიმართა შეხვედრა, სადაც ითქვა, რომ თითოეული კანდიდატი უნდა განხილულიყო ინდივიდუალურად, დეპუტატებს გადაწყვეტილების მიღების დროს საკუთარი რწმენით უნდა ემოქმედათ.

– ჩემთვის ცოტა გაუგებარია, ამ შემთხვევაში, ეკა ბესელიას განცხადების შინაარსი, რატომ დაუკავშირა მან თავისი გადადგომა ამ ყველაფერს, ანუ ლოგიკური საფუძველი აქ რეალურად არ ჩანს, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისივე თქმით, პარტიის თავმჯდომარემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ თუ კანონი არ ირღვეოდა, მიზანშეწონილად მიაჩნდა უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის შევსება.

მმართველ გუნდში რომ დაპირისპირებაა, ეს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემაც დაადასტურა. არადა, აქამდე დაპირისპირებას კატეგორიულად უარყოფდა.

მდინარაძე ამას არც ახლა აღიარებდა, მაგრამ ეკა ბესელიას გადადგომის შემდეგ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში ლამის ხელჩართული ომი გაიმართა.

ბესელიას სერიოზული უთანხმოება მოუვიდა ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძესთან. კილაძე იმის გამო დარჩა უკმაყოფილო, რომ გადამდგარმა ბესელიამ მას იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე სიტყვა არ მისცა.

– ყველა დამელოდეთ მშვიდად, რიგს აქ მე განვსაზღვრავ. დამშვიდდი, დაწყნარდი, რიგი განსაზღვრე იქ, სადაც შეგიძლია განსაზღვრო. აქ მე განვსაზღვრავ რიგს და მოვითმინოთ. დაწყნარდი, კიდევ ერთხელ გეუბნები, შეგიძლია, გაიარ-გამოიარო და შემოხვიდე, – მიმართა ეკა ბესელიამ სოფო კილაძეს.

ამ განცხადებამ კილაძე შეურაცხყო და მან ერთი კვირის წინ კომიტეტიდან პროტესტის ნიშნად წასულ სალომე სამადაშვილს ადამიანურად გაუგო.

ახლა გავიგე, რატომ გავიდა სალომე სამადაშვილი იურიდიული კომიტეტიდან, რადგან კომიტეტის თავმჯდომარე არ აძლევს საუბრის უფლებას რიგის მიხედვით, – მიმართა კილაძემ ბესელიას.

სამადაშვილის ხსენებამ ბესელია გააღიზიანა. მან კილაძეს უთხრა, რომ უხარია, თუ მას და ნაციონალ დეპუტატს საერთო აზრი აქვთ.

ამაში კილაძემ უცნაურობა ვერ დაინახა და აღნიშნა:

– ჩვენ მოგვწონს თუ არ მოგვწონს ადამიანის მოსაზრება, ადამიანის უფლებების კომიტეტში ასეა, რომ თითოეულ ადამიანს ეძლევა აზრის გამოთქმის საშუალება.

ადამიანის უფლებების ხსენებაზე ბესელია სულ გადაირია და კილაძეს ბოლო ხმაზე დაჰკივლა:

– ახლა თქვენ ნუ მასწავლით ადამიანის უფლებებს, თორემ დაიქცა ეს ქვეყანა მართლა.

მართალია, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის გადამდგარ თავმჯდომარეს მაღალი ხმა აქვს, მაგრამ არც სოფო კილაძეა ისეთი ნაზი, რომ კივილმა შეაშინოს.

მისი თქმით, გაუგებარია, რატომ უკავშირებს ბესელია გადადგომას მოსამართლეების საკითხს. დეპუტატმა აღნიშნა, რომ მედია იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის შესაძლო გადადგომაზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საუბრობდა.

– შეგიძლიათ, დასერჩოთ „გუგლში“ და პირდაპირ ამოაგდებს ჟურნალისტების სტატიებს, სადაც ამაზე იყო საუბარი. რატომ ხდება ამ საკითხის დაკავშირება მოსამართლეების თემასთან, ყოვლად გაუგებარია. გაუგებარი კი არა, გასაგები თემაა. ძალიან ნათელია, ამ კონკრეტული თემების უკან რაც დგას, – აღნიშნა კილაძემ.

ამის შემდეგ უკვე ბესელიამ დაძაბა და განაცხადა, რომ უმჯობესია, ცოტა წინდახედულობა და პასუხისმგებლობა გამოიჩინოს ყველამ, როცა შეფასებებს აკეთებენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ბესელიას გადადგომა მხოლოდ მოსამართლეების სიას არ უკავშირდება“

## გელა ნიკოლაიშვილი: „ეს სია პარლამენტში ვერ გავა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი** პასუხობს.

***– ბატონო გელა, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ და მისმა მოადგილე ვანო ზარდიაშვილმა თანამდებობები დატოვეს. რა ხდება „ქართულ ოცნებაში“ და რა ხდება სასამართლო სისტემაში?***

– მოსამართლეთა სია ჩემთვისაც ცნობილია. რამდენიმე მოსამართლეს ვიცნობ, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე მუშაობენ და მათი უმრავლესობა ჩემთვის არის აბსოლუტურად მიუღებელი. ეკა ბესელიას გადადგომა ჩემთვის იყო მოულოდნელი. თუ ამ სიის დამტკიცება არ უნდოდათ, თუ მიუღებელი იყო ბესელიასთვის, მათ ხელში იყო სიაც და ძალაუფლებაც და ამას გადადგომა რატომ სჭირდებოდა?! ამას უნდოდა მკაფიო უარი, რომ განვიხილეთ და არ დავამტკიცეთ. ჩემთვის ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა შიდა დინებებია უმრავლესობაში.



***– რას იტყვით ამ მოსამართლეების უვადო წესით გამწესებაზე?***

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ამ მოსამართლეების ერთი ხელის მოსმით გაყრა, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა, არ შეიძლება. თუმცა, როდესაც მივა მათი ვადა ბოლოში, რა ვადითაც იყვნენ არჩეულები, ამის შემდეგ არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა გაეგრძელებინათ მათთვის ვადა. რადგან ესენი იყვნენ და არიან ის ხალხი, რომლებიც შეჩვეული არიან მუშაობას მხოლოდ მითითებითა და ბრძანებებით და არა – დამოუკიდებლად.

***– უმრავლესობა ასეთი იყო?***

– 80-90% სწორედ ასეთი იყო იქ. იყო გამონაკლისები, ვიღაცა გაიბრძოლებდა ხოლმე, მაგრამ ამასაც შედეგი არ ჰქონდა. ამიტომ 80-90% სწორედ რომ სახლში უნდა გაეშვათ, როცა ვადა ამოეწურებოდათ.

ამათ კი პირიქით გააკეთეს, 80-90% დატოვეს და 10-20% გაუშვეს, ეს იყო სრულიად მიუღებელი. ახლა მით უმეტეს სრულიად მიუღებელი რამ ხდება, როდესაც ასეთი ადამიანები უნდა დაინიშნონ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად და თანაც – უვადოდ.

აქ პიროვნულ სიმპათია-ანტიპათიებზე არ არის ლაპარაკი, ზოგადად ეს ადამიანები დამოუკიდებელ მუშაობასა და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს არ არიან შეჩვეული. ამიტომ ჩემთვის მიუღებელია ასეთი მოსამართლეების უვადოდ გამწესება.

***– „ქართული ოცნების“ შიგნითაც გაჩნდა ამ საკითხთან დაკავშირებით განხეთქილება? ბესელიას გადადგომის შესახებ უკვე დიდი ხანია დადიოდა კულუარული ინფორმაცია, თუმცა ამას მოსამართლეების თემაზე არ ელოდნენ.***

– დიახ, მეც ეს კულუარული ინფორმაცია გაგონილი მქონდა, ოღონდ, ამ კულუარული ინფორმაციის მიხედვით, ბესელია უნდა გადამდგარიყო იმიტომ, რომ ის ინიშნებოდა ვიცესპიკერად. ვიცესპიკერობა კი, პრინციპში, დაწინაურებაა.

ასე ხისტად და დემონსტრაციულად გადადგომას არ ველოდი. როგორც ჩანს, გუნდში ამ საკითხზე იყო სერიოზული შეუთავსებლობა. მოსამართლეების განხილვის შეჩერება, სიაზე უარის თქმა და ათასი ბერკეტი ჰქონდათ, თუმცა, როგორც ჩანს, ბესელიას უნდოდა, ამ საკითხზე უფრო ხისტი პოზიცია დაეფიქსირებინა. ეს მისი უფლებაა.

***– დამტკიცდება აღნიშნული სია, როგორ ფიქრობთ?***

– სავარაუდოდ, ეს სია არ დამტკიცდება. ამხელა აჟიოტაჟის შემდეგ სხვას არც ველოდები. ობიექტური მოცემულობიდან გამომდინარე, უბრალოდ, შეუძლებელია, რომ ეს სია დამტკიცდეს.

ამ სიის დამტკიცება ნიშნავს იმას, რომ ადეიშვილის სასამართლო სისტემა უკან ბრუნდება! ამიტომაც მე მგონია, რომ მას პერსპექტივა არ აქვს. დარწმუნებული ვარ, ეს საკითხი საზოგადოებაში სერიოზულ ვნებათაღელვას გამოიწვევს. ამას ასე მარტივად ვერ გადაურჩებიან.

***– ბესელია აცხადებს, რომ აღნიშნული სია უნდა იყოს გაწვეული და არა – შეჩერებული.***

– აბსოლუტურად ვიზიარებ ამ პოზიციას, თუმცა ამის გაკეთება მისი გადადგომის გარეშეც იყო შესაძლებელი. როგორც ჩანს, აქ კიდევ სხვა დინებებიც არის, რომლებიც ამ ეტაპზე ზედაპირზე არ ამოსულა. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ყველაფერს მოეფინება ნათელი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილზე მალე სკანდალურ ინფორმაციას გაიგებთ“

## ზვიად კუპრავა: „აფხაზეთიდან სიგარეტის კონტრაბანდას შონია-შენგელიას კლანი მფარველობდა“

შორენა მარსაგიშვილი

რა მითითება მისცა გახარიამ კრიმინალებს, დაიწყო თუ არა რეალურად ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, ვინ დგას სიგარეტის კონტრაბანდის უკან, როგორ გახდა ივანიშვილი ესკობარი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი **ზვიად კუპრავა** ესაუბრება.

***– ზუგდიდის ყოფილი მერი და მისი მოადგილე დააკავეს, სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი პასუხისგებაში მისცეს. არის მოსაზრება, რომ „ოცნებამ“ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. თქვენ რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– სანამ ამ თემას შევეხები, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა რაღაც. 21 დეკემბერს ის პარლამენტის წინაშე წარდგა, სადაც სიამაყით განაცხადა, დათო კირკიტაძე ჩავაგდეთ და სხვებსაც ჩავაგდებთო. ამ განცხადების შემდეგ მას დეპუტატმა თენგო გუნავამ ხვიჩა ცხაკაიასთან დაკავშირებით დაუსვა კითხვა.

ხვიჩა ცხაკაია სამეგრელოში ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტია. სამეგრელოში ბავშვებიც კი გეტყვიან, ვინ არის ცხაკაია.

სამაგიეროდ, მის შესახებ არაფერი იცოდა შს მინისტრმა. თენგო გუნავას კითხვაზე გახარიამ განაცხადა, რა ხვიჩა ცხაკაია, ეგეთი პიროვნება სამეგრელოში საერთოდ არ იძებნებაო. უარყო ცხაკაიას არსებობა.

ეს იყო სახელმწიფოს ძალიან მკვეთრი მესიჯი, ერთი მხრივ, ოპოზიციისთვის და, მეორე მხრივ, კრიმინალებისთვის – ოპოზიციონერზე ითქვა, რომ ჩავაყუდეთ და კიდევ ჩავაყუდებთო, კრიმინალურ ავტორიტეტ ცხაკაიაზე კი თქვეს, ეგეთი პიროვნება არ არსებობსო.

ამით გიორგი გახარიამ ხვიჩა ცხაკაიას პარლამენტის ტრიბუნიდან პირდაპირ უთხრა, მიდი, აკეთე, რაც გინდა, მე შენ არ გიცნობ და ყველაფერზე თვალს ვხუჭავ. ეს სამარცხვინოც კი აღარ არის, ეს დანაშაულია.

***– იქნებ მართლა არ იცის გახარიამ, ვინ არის ხვიჩა ცხაკაია? რატომ გამორიცხავთ ამას?***

– გახარია შინაგან საქმეთა მინისტრია და ის ვალდებულია, კრიმინალური ავტორიტეტების შესახებ ფლობდეს ინფორმაციას. დეტალურად უნდა იცოდეს, რას საქმიანობენ კანონიერი ქურდები და კრიმინალური ავტორიტეტები. ხვიჩა ცხაკაია კი ძალიან სერიოზული კრიმინალური ავტორიტეტია. გახარია ვალდებულია, ცხაკაიას ნებისმიერი გადაადგილებისა თუ აქტივობის შესახებ იყოს ინფორმირებული.

ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რას წარმოადგენს ცხაკაია, მაგრამ ის „ოცნებას“ არჩევნებში დაეხმარა. ახლა მადლობას იმით უხდიან, რომ მის არსებობას არ იმჩნევენ და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევენ. აი, ეს არის ივანიშვილის მმართველობა.

ბოლო დროს რასაც ვუყურებთ, მთელი ძალაუფლება გახარიას ხელში აკუმულირდა. ძალოვანი სტრუქტურები და პროკურატურა მან დააკომპლექტა. ბიძინას მერე გახარიას აქვს დღეს ყველაზე მეტი გავლენა. აქამდე ასეთი გავლენები ფარცხალაძეს ჰქონდა.

***– ივანიშვილმა ფარცხალაძე მოიშორა?***

– მოშორებით არა, მაგრამ მის სახელს ბევრი სკანდალი უკავშირდება, გვერდზე გასწია და, როგორც უკვე გითხარით, დღეს მთელი ხელისუფლება გახარიას ხელშია აკუმულირებული.

***– პრემიერი მამუკა ბახტაძე რას აკეთებს?***

– მართალი რომ გითხრათ, მაგ ბიჭს პრემიერად საერთოდ ვერ აღვიქვამ. ყველაფერს აკონტროლებს გახარია, რომელიც კრიმინალურ ავტორიტეტზე ამბობს, არ არსებობს ეგეთიო. ან ის თვალს უხუჭავს ცხაკაიას, ანდა, როგორც შს მინისტრი, არაკომპეტენტურია.



### „გახარიამ კრიმინალებს მოქმედების თავისუფლება მისცა“

***– კორუფციასთან ბრძოლის თემას დავუბრუნდეთ. სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორის პასუხისგებაში მიცემა ნიშნავს თუ არა იმას, რომ მართლა დაიწყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა?***

– სამეგრელოს ყოფილი გუბერნატორი ჩვეულებრივი კორუმპირებული ჩინოვნიკია. მას რეგიონში დათო შენგელიასთან ერთად კლანი ჰქონდა შექმნილი.

***– პარტიზან დათო შენგელიაზეა საუბარი?***

– დიახ, მაგ დათო შენგელიაზე ვსაუბრობ. ის ლევან შონიას ახლო მეგობარია. მათი კლანი აკონტროლებდა იმ კონტრაბანდას, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთიდან შემოდიოდა სამეგრელოს რეგიონში.

***– რის კონტრაბანდაზეა საუბარი?***

– სიგარეტის კონტრაბანდაზე. გაგახსენებთ ერთ საინტერესო ფაქტს.

რამდენიმე წლის წინ სამეგრელოში „ელიზის“ კუთვნილი საწყობი დაწვეს. ამას საწყობის მენეჯერი ბესიკ ჯგუშიაც ემსხვერპლა.

„ელიზის“ საწყობი სიგარეტის კონტრაბანდისტებთან ბრძოლას შეეწირა. „ელიზის“ მეპატრონე თამაზ ელიზბარაშვილმა მილიონობით ზარალი ნახა. საწყობში რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების სიგარეტი იყო. სრულიად განადგურდა შენობა. არ გაინტერესებთ, რას ამბობს გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით? ამტკიცებენ, საწყობი გაზის აფეთქების შედეგად დაიწვაო.

ამ საქმეს კარგად ვიცნობ და შემიძლია გითხრათ, რომ იქ გაზის აფეთქება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ მოხდებოდა, რომ იქ გაზი შეყვანილი არ ყოფილა. შენობაში გაზის მილიც კი არ არსებობს.

საწყობში ხანძარი გვიან ღამით მოხდა, როცა იქ არავინ იყო. ბოროტმოქმედებს არც მენეჯერის მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ის თავის საქმეზე მივიდა გვიან საწყობში და აფეთქებას ემსხვერპლა. ამხელა შენობა დაინგრა და მეორე დღეს შემთხვევის ადგილას აგურიც კი არ იდო. აგურს ვინ ჩივის, მტვერიც კი არ იყო.

***– რანაირად?***

– ბულდოზერებითა და ტრაქტორებით მოასუფთავეს იქაურობა, რათა შესაბამის ორგანოებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობა არ ჰქონოდათ.

საწყობის დაწვა პირდაპირ უკავშირდება შენგელია-შონიას კლანის საქმიანობას. ეს კლანი პირდაპირ დაუპირისპირდა სახელმწიფოს, რომელიც ლეგალურად ყიდდა სიგარეტს. როცა კლანებზეა საუბარი, იქ დაწვა და აფეთქება მოსულა. ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილს დაუწვეს საწყობი. ის ლეგალურად აწარმოებდა სიგარეტის ბიზნესს – იხდიდა გადასახადებს, აქციზურ მარკებს ყიდულობდა და ა.შ.

ეს კლანი აფხაზეთიდან კონტრაბანდული გზით შემოტანილ სიგარეტს ბევრად იაფად ყიდდა.

მას შემდეგ, რაც მურთაზ ზოდელავა ჩავიდა სამეგრელოში, „ოცნებას“ ძალიან ბევრი ნაღმი აუფეთქდა. მათ შორის იყო კონტრაბანდული სიგარეტების საკონტროლო შესყიდვები. მურთაზმა ძალიან ბევრი რამე გაასაჯაროვა და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა.

ამ სკანდალებმა მოარყია შონია. ის, როგორც გუბერნატორი და როგორც ჩინოვნიკი, აღარ არსებობდა. სახელგატეხილი შონია ივანიშვილს აღარაფერში სჭირდებოდა და ყოფილი გუბერნატორი პასუხისგებაში მისცეს.

***– თქვენ აშკარად არ გჯერათ, რომ ხელისუფლება კორუფციას ებრძვის.***

– წინა ხელისუფლების დროს კორუფცია თითქმის დამარცხებული იყო. ახლა კი საპირისპირო სურათია. როდესაც გუბერნატორი კლანს ქმნის და კონტრაბანდის მფარველობას იწყებს, იქ რაზეა საუბარი.

***– მომატებული კრიმინალზე რას ფიქრობთ? ამის წინააღმდეგ მაინც თუ დაიწყება ბრძოლა? ქვეყანაში ცხოვრება მართლა აუტანელი და საშიში გახდა.***

– კრიმინალთან ბრძოლის დაწყების იმედი არ მაქვს. გახარიამ პარლამენტის ტრიბუნიდან თქვა, რომ ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს არ იცნობს და მას მოქმედების თავისუფლება მიანიჭა. ეს არის ის ხარკი, რომელიც „ოცნებამ“ კრიმინალებს არჩევნებში მხარდაჭერის სანაცვლოდ გადაუხადა.

***– მოქმედების თავისუფლება მარტო ხვიჩა ცხაკაიას მიენიჭა თუ მის სხვა კოლეგებზეც ვრცელდება ეს პოლიტიკა?***

– დღეს სამეგრელოში მთავარია ცხაკაია. კრიმინალებს თუ მასთან დალაგებული აქვთ, ე.ი. ხელისუფლებასთანაც დალაგებული აქვთ.

შს მინისტრმა თქვა, ახლა კრიმინალი აქტიურ ფაზაში შევაო. აქტიურ ფაზაში ის ახალ წელს გულისხმობდა. ახალ წელს ნებისმიერ ადამიანს უფრო მეტი ფული სჭირდება. მეტი ფული უნდათ კრიმინალებსაც. ისინი ფულის საშოვნელად მუშაობას არ იკადრებენ და ყაჩაღობას დაიწყებენ.

მართლა შევა კრიმინალი აქტიურ ფაზაში, მაგრამ, მინდა იცოდეთ, რომ ეს აქტიური ფაზა აღარ დასრულდება.

***– გახარიას მათი დევნა ალბათ არ მოუწევს, როგორც ამბობენ, მას მთავრობის მეთაურობისთვის ამზადებენ.***

– ბიძინა ივანიშვილი გახარიას პრემიეროობისთვის გაზაფხულიდან ამზადებდა. ეს სამზადისი მას შემდეგ დაიწყო, რაც კვირიკაშვილს შეუდგა წყალი.



***– რატომ ჩაიშალა მაშინ მისი გაპრემიერება?***

– მაისის ბოლოს შს მინისტრს ძალიან მკვეთრად დავეჯახეთ. ხორავას ქუჩის საქმეზე გაყალბებები გახარიას უწყებამ დაიწყო. ივანიშვილმა მისი გაპრემიერება აღარ გარისკა და მთავრობის მეთაურად მამუკა ბახტაძე შემოგვთავაზა, რომელიც ძალიან გაუგებარი არსებაა. ვერაფრით გავიგე, რა ფუნქციას ასრულებს ეს ბიჭი სახელმწიფოში.

„ოცნების“ კულუარებიდან გამოსული ხმების თანახმად, ახლა აუცილებლად დაინიშნება გახარია პრემიერად. დამიჯერეთ, არანაირი მნიშვნელობა არ ექნება, თუ ვინ დაიკავებს პრემიერის სავარძელს. აქ მთელი სისტემა ბიძინა ივანიშვილზეა აწყობილი.

***– გამოდის, რომ გაპრემიერება გახარიას დაასუსტებს.***

– ასე გამოდის. აქ მთავარია ივანიშვილი და ამ ადამიანს თავისი სახელი უნდა დაერქვას.

ივანიშვილი ქართველმა საზოგადოებამ, როგორც მეცენატი, ისე გაიცნო. ფიზიკურად არავის ნანახი არ გვყავდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ქველმოქმედებას ეწეოდა.

მერე პოლიტიკაში მოვიდა, გახდა პრემიერი. ცოტა ხანში ჩრდილში წავიდა და არაფორმალურ მმართველად გადაიქცა. გახდა ერთპიროვნული მმართველიც, ახლა არის ოლიგარქი.

ყველა ეს სახელი მას სხვადასხვა დროს მიენიჭა. ახლა ის დროა, რომ მას სახელად ესკობარი დაერქვას.

***– ესკობარი რატომ, კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის მიღებას რომ ითხოვს?***

– მარტო ამიტომ არა. ივანიშვილთან დაკავშირებით ახლო მომავალში საზოგადოება შოკისმომგვრელ ინფორმაციას გაიგებს. მერე მას მთელი საქართველო ესკობარს დაუძახებს.

ბიძინა-ესკობარმა ნახა, რომ საქართველოში ბიზნესის ყველა სფერო მეტ-ნაკლებად ათვისებულია. ერთადერთი სფერო, რომელიც არ არის ათვისებული, ნარკობაზარია. ამ შემთხვევაში ლეგალურ ათვისებას ვგულისხმობ, თორემ არალეგალურად ეს ბიზნესიც ათვისებულია.

ბიძინა-ესკობარი ცდილობს ამ ბაზრის ათვისებას და ამიტომ მოხდა კანაფის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის მომზადება. ნარკოტიკებში ძალიან დიდი ფული იშოვება. გახდის ამ ბიზნესს ლეგალურს და მას მარტო მოაჯდება.

***– ხომ გაიწვიეს პარლამენტიდან კანონპროექტი კანაფის კულტივაციის შესახებ?***

– მერე რა, რომ გაიწვიეს, ისევ მიიწვევენ. ეს კანონპროექტი დღის სინათლეზე ძალიან ცუდ დროს, არჩევნების წინ გამოიტანა. არჩევნები დამთავრა და ახლა ამაზე სერიოზული მუშაობა დაიწყო. ძალიან მალე ძალიან სკანდალურ დეტალებს მოეფინება ნათელი.

# „ქართული ოცნება“ იშლება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ახლა შევედით ისეთ საინტერესო ფაზაში, მე მეორე ეტაპს ნაადრევად დავიწყებ ალბათ. რაღაცების მოყოლას დავიწყებ ახლა. რაც ადრე ცხადდებოდა და რაც ადრე გაჟღერდა, ხომ არ არის ეს დაკავშირებული ამ პროცესთან, ამაზე ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკებ. ეს, როგორც ჩანს, ადრე იგეგმებოდა. რატომ იგეგმებოდა ეს ადრე, იქამდეც მივალთ და მერე ვილაც არ აღმოჩნდეს კიდევ უხერხულ მდგომარეობაში. ყველას ვურჩევ, ვინც დაკავებულია და დაკავებულია იმ პოზიციით, რომ ვერ გაუგია, სად არის და რატომ არის, ცოტა გაიაზროს პასუხისმგებლობა და ისე ილაპარაკოს, რადგან იმ ზონაში შევა, სადაც თავად დაიკარგება და ველარ გამოაგნებს გზას. ამიტომ, უმჯობესია, ცოტა წინდახედულობა და პასუხისმგებლობა გამოიჩინოს ყველამ, როცა ასეთ შეფასებებს გააკეთებს, – აღნიშნა გადამდგარმა.

ბესელიას გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ რამდენიმე მეოცნებემ პარტიის დაშლის წინაპირობად მიიჩნია.

ყველაზე ბევრს სიცხიანი გედევან ფოფხაძე ყვიროდა. მისი თქმით, ბესელიას გარეშე „ოცნება“ „ოცნება“ არ იქნება.

– ეკა ბესელიას გარეშე „ქართული ოცნება“, ფაქტობრივად, არ არსებობს. ეს არის სიმბოლო იმ ძველი გვარდიის, მებრძოლი ძალის, რომელმაც 2012 წლის ოქტომბერი შექმნა ბიძინა ივანიშვილთან ერთად. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ მე სიცხიანი ჩამოვედი იმიტომ, რომ ეკასთან ერთად ვიყო, მე მგონია, რომ ეკა ბესელიას, როგორც კომიტეტის თავმჯდომარის ეს სურვილი დაკავშირებული არ არის მის კერძო სიმპათიებთან. ეს არის სურვილი დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მომავალთან და იმასთან, რომ იურიდიულმა კომიტეტმა ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ საქართველოს მართლმსაჯულება არ ჩავარდეს შერჩეული საეჭვო ადამიანების ხელში, – განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

ბესელიას გადადგომამ დავით ჭიჭინაძეც აღაშფოთა. რამდენიმე თვის წინ მასაც მოუწია „ოცნებიდან“ წამოსვლა.

ჭიჭინაძეს მიაჩნია, რომ არჩევნების მეორე ტურის წინ ივანიშვილის დაანონსებული რადიკალური ცვლილებები ეკა ბესელიათი არ უნდა დაწყებულიყო.

ჭიჭინაძის თქმით, კობახიძეს უნდა დაეტოვებინა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა. ხალხი ამას ელოდებოდა.

– ეკა ბესელიამ გადადგა ის ნაბიჯი, რითაც, ვფიქრობ, რომ ქვეყანას კიდევ ერთხელ აჩვენა თავისი სახე, რომ ის იბრძვის სამართლიანობისთვის და არა კარიერისთვის. შესაბამისად, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არის დაპირისპირება ამ „კოლექტიურ ზარდიაშვილებსა“ და ეკა ბესელიას შორის და, ვფიქრობ, ბესელიამ თავისი ნაბიჯით შეძლო ქვეყანაში უსამართლო მოსამართლეების დანიშვნის შეჩერება. მიუხედავად იმისა, რომ კობახიძე დაჟინებით მოითხოვდა, ხვალ ჩატარებულიყო კომიტეტის სხდომა და ყოფილიყო ამ წარმოდგენილი კანდიდატურების განხილვა, ეკა ბესელიამ თავისი გადადგომით გააჩერა ეს პროცესი, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

# ნუკრი ქანთარია: „ცვლილებები მთლიანად „ქართულ ოცნებას“ უნდა შეეხოს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის დეპუტატი **ნუკრი ქანთარია**, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ მიმდინარე და დაგეგმილ საკადრო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო ნუკრი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან ეკა ბესელია გადადგა. ამის შესახებ პრესა ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში წერდა. თუმცა, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, რას შეიძლება, ეს უკავშირდებოდეს?***

– თავად ახსნა ეკა ბესელიამ, რასთან გვაქვს საქმე და, თუ კიდევ დამატებით რამის თქმა უნდოდა, აუცილებლად იტყოდა. მე არაფერს დავამატებდი. თავად განმარტა, რას უკავშირდება მისი ეს ნაბიჯი.

***– ხომ არ ფიქრობთ, რომ ამით ზარდიაშვილის დაჯგუფებამ გაიმარჯვა?***

– არა! როგორც გვითხრა ეკა ბესელიამ, ზარდიაშვილმა თავადაც დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ვანო ზარდიაშვილი პირველი მოადგილის პოსტს იკავებდა. ამიტომ, არ ვფიქრობ, რომ ვიღაცამ გაიმარჯვა ან არ გაიმარჯვა.

ახლა მთავარია, რომ მოსამართლეების საკითხი მიება თუ დაემთხვა ამ ამბავს. ეს პროცესი ერთგვარად ნათელს გახდის, როგორ უნდა მოხდეს რეალურად ამ ადამიანების შერჩევა. ასეთი პროცედურით ამ სიის წარდგენა პარლამენტისთვის საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას იწვევდა გუნდში. ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე, სასწრაფო წესით ამ სიის შემოტანა, რასაკვირველია, ყოვლად მიუღებელი იყო. ამიტომ, ან პარლამენტი, ან თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს გარკვეულ დებულებას ან წესს, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი. საერთოდ როგორ უნდა შეირჩნენ, ვინ ირჩევს ამ ადამიანებს – ეს ყველაფერი კრიტერიუმებით უნდა იყოს დადგენილი და განსაზღვრული და არა – ვიღაცის ნებასურვილით.



ასევე ამ კრიტერიუმის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კანდიდატის წარსული უნდა იყოს. რამდენად უმწიკვლოა ამ კანდიდატების წარსული? ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება წარმოდგენილ სიასთან დაკავშირებით.

***– კვლავ საკადრო საკითხს რომ დავუბრუნდეთ, დავით ჭიჭინაძე აცხადებს, რომ ივანიშვილი არჩევნების მეორე ტურის წინ რადიკალურ ცვლილებებს დაჰპირდა მოსახლეობას, მაგრამ ეს ცვლილებები ბესელიათი არ უნდა დაწყებულიყო. როგორ ფიქრობთ, შეიძლება, ეს პროცესი მართლაც გაგრძელდეს?***

– ცვლილებები დაანონსებული იყო. მე სულ ამას ვამბობ, რომ ცვლილებები აუცილებელია და არჩევნების პირველმა ტურმა სწორედ ეს დაგვანახა, რომ საზოგადოებაში ცვლილებების მოთხოვნა და საჭიროებაა. ამას ჩვენც ვგრძნობთ. ამიტომ მე აბსოლუტურად ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილს. ვფიქრობ, რომ ცვლილებები გარდაუვალია და ეს თანმიმდევრობით მოხდება. გარკვეული პერიოდის, ახალი წლების შემდეგ, იმედი მაქვს, რომ გარკვეული ცვლილებები აუცილებლად მოხდება როგორც სტრატეგიაში, ისე კადრებში. მთავარია, რომ ის დანაპირები, რომლებიც გავეცით წელიწად-ნახევარში, მაქსიმალურად შესრულდეს. ეს ცვლილებებიც სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული და არა – ცვლილება ცვლილებისთვის.

***– ეს მხოლოდ პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატებს უნდა შეეხოთ თუ მთავრობასაც?***

– მთლიანად „ქართულ ოცნებას“ უნდა შეეხოს. მთლიანად გუნდში უნდა მოხდეს რეალური რეორგანიზაცია. პირიქით, უკუშედეგის მომტანი და დამაზიანებელი კი არ უნდა იყოს, არამედ ჯანსაღი ცვლილებები უნდა მოხდეს თანმიმდევრობით, რომლებიც შედეგზე იქნება ორიენტირებული.

რა თქმა უნდა, მაღალკვალიფიციური კადრები უნდა შეირჩნენ, საქმის პროფესიონალები, მაგრამ ერთგულებაც უნდა იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი. ბიძინა ივანიშვილმა კი თქვა, ერთგულება არაო, მაგრამ, არა მგონია, რომ ერთგული თუ არ იქნება ქვეყნის, გუნდის, მან საქმე გააკეთოს ქვეყნის სასიკეთოდ.

***– ეკა ბესელიას შემცვლელად უკვე სახელდება ანრი ოხანაშვილი. გუნდში იყო ამაზე საუბარი?***

– გუნდში ამაზე ჯერ არ ყოფილა საუბარი, მაგრამ ალბათ იქნება, რადგან უკვე პარლამენტის გადასაწყვეტია, თუ ვინ იქნება კომიტეტის თავმჯდომარე. პირველ მოადგილეს თავად თავმჯდომარე ნიშნავს, მაგრამ, კომიტეტის თავმჯდომარეს – პარლამენტი.

***– როგორია ოხანაშვილის მიმართ დეპუტატების განწყობა?***

– ბოლო ხანებში ხშირად ჩანს. მას აქვს იურიდიული განათლება, აქტიურია. ვნახოთ.

***– ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს ირაკლი კობახიძე უნდა გადადგეს, რომ ასეთია შეთანხმება ივანიშვილთან. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?***

– მე ვერაფერს გეტყვით. ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია. ამ ცვლილებებში ვინ მოიაზრება, რა, როგორ იქნება, ამაზე მე არ მაქვს ინფორმაცია.

***– პარლამენტს გუშინ ბოლო სამუშაო დღე ჰქონდა ქუთაისში. საგაზაფხულო სესია კი თბილისში გაიხსნება. „ევროპული საქართველოს“ წევრი სერგო რატიანი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ ბერია-სტალინის არქიტექტურას უბრუნდება. რას იტყვით?***

– ეს არის შეგნებული სისულელე. 6 წელი ვიმუშავე პირადად მე ქუთაისში. მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ, რომ პარლამენტის შენობა დედაქალაქში უნდა იყოს.

***– რატომ?***

– ამისთვის ძალიან ბევრი არგუმენტი მაქვს. დიდი გზა, ფუჭი ენერგიის ხარჯვა, გაუაზრებელი და ტყუილად გადაყრილი ბიუჯეტის სახსრები. მინისტრების მოსმენა როდესაც ხდება, ძალიან მოუხერხებელი ხდება მუშაობა, ბევრი მიზეზია, რატომაც თბილისში. თუმცა, როგორც გითხარით, 6 წელი გავატარე ამ შენობაში და გარკვეული სენტიმენტებიც ახლავს წამოსვლას. ამიტომ ვიხუმრე, იქნებ ბოლო ჩხუბი გაგვემართა სამახსოვროდ.

# ხატია დეკანოიძე: „როცა არჩევნებზე კრიმინალებს იყენებ, შემდეგ ის გამოგიყენებს შენ“

იაგო ნაცვლიშვილი

კრიმინოგენური ვითარების შესახებ მედიაში ყოველდღე ახალ-ახალი ინფორმაციები ვრცელდება. განსაკუთრებით იმატა ამ ვითარებამ ბოლო 2 კვირის განმავლობაში. ყოველდღე ვიგებთ ინფორმაციას ქუჩური გარჩევების, დაჭრის, მკვლელობისა, ყაჩაღობისა თუ ქურდობის შესახებ.

რით შეიძლება აიხსნას ეს ვითარება და დგება თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას პასუხისმგებლობის საკითხი? – ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი **ხატია დეკანოიძე** საუბრობს.

***– ბოლო 2 კვირის განმავლობაში აშკარად მოიმატა ქვეყანაში კრიმინოგენურმა ვითარებამ. მე მგონი, ეს მხოლოდ ჩემი დაკვირვება არ არის. თქვენ რა შეფასებას გააკეთებთ ამაზე?***

– არა, ეს მხოლოდ დაკვირვება არ არის. სტატისტიკაც ამაზე მოწმობს. ყველა გავეცანით ბოლო სტატისტიკას, რომელიც გამოქვეყნებული იყო შსს-ს მიერ, საიდანაც ჩანს, რომ რეალურად სისხლის სამართლის დანაშაული გაზრდილია ქვეყანაში. ამას არ სჭირდება მხოლოდ დაკვირვება. არა მხოლოდ მძიმე დანაშაულმა მოიმატა, არამედ – ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებმაც – ქურდობამ, ყაჩაღობამ, მომატებულია მკვლელობებიც.

***– რას უკავშირებთ ამ ყოველივეს?***

– ქვეყანაში კრიმინალურ ინდიკატს აქვს ძალიან სერიოზული პოზიციები. რეალურად ბოლო არჩევნებმა და არა მხოლოდ ბოლო არჩევნებმა დაგვანახა ამის მიზეზები. თქვენ აკვირდებოდით 2016 წლის არჩევნებს, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს... გამოჩნდა, რომ ხელისუფლება ცდილობს, კრიმინალი გამოიყენოს პოლიტიკური მიზნებისთვის.

როდესაც კრიმინალს პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებ, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელმაც ქვეყანა კრიმინალისგან უნდა დაიცვას, ვალშია ამ დამნაშავე სამყაროსთან. შესაბამისად, ხდება ის, რომ გაზრდილია არა მხოლოდ მძიმე დანაშაული და კრიმინოგენური ვითარება საგანგაშოა.

ჩვენ ვხედავთ მძიმე დანაშაულებს, მაგრამ რეგიონებში ძალიან გაზრდილია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა ქურდობა, სახლების გაქურდვა, ყაჩაღობა და ა.შ. ეს არის ის შედეგი, რომელსაც არა მხოლოდ ეს ხელისუფლება, არამედ ადამიანები მოიმკიან, რადგან კრიმინალურ სამყაროს შეუძლია, თავისი სიტყვა თქვას, თუნდაც იმავე არჩევნებზე.

***– ანუ კრიმინოგენური ვითარების გაზრდის მიზეზს პირდაპირ არჩევნებს უკავშირებთ და ხაზს ავლებთ ამ მიმართულებით?***

– მათ შორის ერთ-ერთი. არჩევნების ორივე ტურზე რეგიონში ვიყავი დამკვირვებელი და ვხედავდი, როდესაც არჩევნებზე გამოიყენეს კრიმინოგენური სამყაროს წარმომადგენლები. პრაქტიკულად არჩევნები ჩატარდა კრიმინალური ავტორიტეტების ჩართულობით. ისინი უშუალოდ იყვნენ ჩართულები. „მუშაობდნენ“ ახალგაზრდობასთან. გამოჰყავდათ ხალხი და მობილიზებას აკეთებდნენ. პოლიცია კი იდგა და ამას უყურებდა. მე ეს ვნახე ძალიან ბევრ უბანზე. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო რეგიონებში, იმავე სოფლებში.



პოლიტიკურ კომპონენტს რომ თავი დავანებოთ, მე, როგორც სამართალდამცველმა, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ როდესაც კარტბლანშს ანიჭებ კრიმინალურ ავტორიტეტებს, ეს ასეთ შედეგს გამოიღებს. ვგულისხმობ იმას, როგორც ეს იყო 2012 წელს, როცა ძალიან ბევრი ადამიანი გამოუშვეს ციხიდან და მერე გამოიყენეს ეს ადამიანები. გახსოვთ ალბათ ოპოზიციაზე თავდასხმა და ა.შ.

ახლაც ზონდერები, რომლებიც ჰყავს „ქართულ ოცნებას“, ძირითადად მოკრიმინალო ელემენტები არიან. ესენი იყვნენ ჩართული კორცხელის ინციდენტში, მანამდე – გურჯაანში. იმავე ახალქალაქის ინციდენტის დროს არავინ დასჯილა. ენზელ მკოიანს ჰყავს თავისი დასაყრდენი და ა.შ.

როდესაც არჩევნებზე ამხელა რესურსით რთავ კრიმინალურ სამყაროს, შემდეგ კრიმინალები შენგან ითხოვენ გაცილებით მეტს. შემდეგ კი ისინი მიდიან უბრალო ხალხთან. შემდეგ ბიძინა ივანიშვილთანაც მივლენ, მაგრამ იქამდე უბრალო ადამიანებს ხოცავენ და ხდება ქუჩის გარჩევა.

გახარიამ პირდაპირ თქვა პარლამენტში, რომ ყაჩაღობას ახასიათებს სეზონურობა. არავითარი სეზონურობა ყაჩაღობას არ ახასიათებს. ყაჩაღობას ახასიათებს ის, რომ პოლიცია ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე. 2012 წლიდან მოყოლებული, 100-ლარიანი ჯარიმით უშვებდნენ ადამიანებს, ვინც პოლიციას თავს ესხმოდა. ამიტომ, ახალი აქ არაფერია, უბრალოდ, რიგითი ადამიანები არიან ურთულეს მდგომარეობაში.

***– ხომ არ დგება შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხიც?***

– შს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი ჩვენ დიდი ხანია, რაც დაყენებული გვაქვს. როგორ შეიძლება, შს მინისტრი იყოს ადამიანი, რომელიც ემუქრება ოპოზიციას და პარლამენტის ტრიბუნას იყენებს იმისთვის, რომ დაგვემუქროს ყველას.

ამ ადამიანის ერთადერთი მიღწევა არის ის, რომ ის ჩამოვიდა მოსკოვიდან. რუსეთში მას ჰქონდა რესტორნები თუ რაღაც. ივანიშვილმა ჯერ ეკონომიკის მინისტრად დანიშნა, შემდეგ – შს მინისტრად. ჰგონია, რომ სრული კარტბლანში აქვს და რაღაცას წარმოადგენს. ოპოზიციას გვემუქრება მუშტებით ადამიანი, რომელსაც 2 წლის წინ რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდა.

როდესაც პოლიცია შორიდან უყურებდა, როგორ მართავდნენ სიტუაციას დაბურულშუშიანი მანქანებიდან, ეს არის ძალიან სამწუხარო. მე გახარიას ვერ შევაფასებ პროფესიონალად. იგი არის ერთი ადამიანის დაკვეთების შემსრულებელი. არ ვიცი, რა დამსახურებით მოხვდა საქართველოს მთავრობაში. ერთადერთი იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს სურდა.

***– აღნიშნეთ, რომ 100-ლარიანი ჯარიმებით უშვებდნენ ადამიანებს. ამან დაუსჯელობის სინდრომი ხომ არ გააჩინა და კრიმინალი ხომ არ წაახალისა?***

– რასაკვირველია. იგივე ფარცხალაძე 5.000-ლარიანი გირაოთი გამოუშვეს. რა თქმა უნდა, დაუსჯელობის სინდრომია. ყველა ადამიანი, ვინც ასრულებს „ქართული ოცნების“ ნებასურვილს. არ აქვს მნიშვნელობა, როგორ, იქნება ეს მუშტიკრივით, აუდიტის სამსახურის თავის გატეხით თუ სხვა, არავინ ისჯება.

2012 წლიდან დაწყებული, „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირების დაკავების უფლება არ ჰქონდა პოლიციას, თუნდაც მაშინ, როცა მათ პატრული აჩერებდა. ეს ცნობილი ფაქტია პოლიციაში. ასევე აბაზოვი, მარნეულის მერი, რომელიც მწამებელი ადამიანია, გამოდის და ბიძინა ივანიშვილს ხვდება. ეს თავად უმრავლესობის წევრებმაც კი ვერ უარყვეს.

საერთოდ რაზე ვსაუბრობთ?! კანონის რა უზენაესობაზე ვსაუბრობთ და რა შს მინისტრზე ვსაუბრობთ?! გახარიამაც დაადასტურა, რომ ფარცხალაძეს იცავდნენ. მან თქვა, რომ მთვრალი იყო და საყოფაცხოვრებო ჩხუბი იყო. რა უნდა ვთქვა, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები აღარ არსებობს.

## კობა გვენეტაძე: „დოლარიზაცია ეკონომიკის მთავარ გამოწვევად რჩება“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე „საქმის კურსთან“ ინტერვიუში ეკონომიკის მთავარ გამოწვევად მაღალ დოლარიზაციას ასახელებს. მისი თქმით, დოლარიზაციის შესამცირებლად ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რასაც თვალსაჩინო შედეგები უკვე მოჰყვა.

– მთავარი გამოწვევა არის დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი. საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ამ მიმართულებით. მე თავად არ ველოდი, რომ ასეთი შედეგი იქნებოდა. დაახლოებით 9 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული სესხების დოლარიზაცია, ასევე დეპოზიტების დოლარიზაცია, – ამბობს გვენეტაძე „საქმის კურსთან“ ინტერვიუში.

სებ-ის სტატისტიკის მიხედვით, 2018 წლის ნოემბრის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებში ლარმა 43.14%-ს მიაღწია. ორი წლის წინ ეს მაჩვენებელი 34% იყო. დეპოზიტების ლარიზაცია კი 36%-ს შეადგენს, რაც ორი წლის წინ 29%-ს შეადგენდა.

ლარიზაციის პოლიტიკის ე.წ. „დედოლარიზაციის“ პოლიტიკის ფარგლებში ეროვნულმა ბანკმა რიგი გადაწყვეტილებები მიიღო, მათ შორის შეამცირა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები ლარში და გაზარდა უცხოური ვალუტისთვის. დააწესა, რომ უცხოურ ვალუტაში კრედიტის ასაღებად სესხის მოცულობა 100,000 ლარს უნდა აჭარბებდეს. მიიღო ცვლილებები ლარში ფასდადების სავალდებულოობის შესახებ და სხვა.

bm.ge

# მამუკა ტუსკაძე: „უზენაეს სასამართლოში დასანიშნად წარდგენილი ყველა მოსამართლე ბიუროკრატია“

## მოსამართლე ნინო სანდოძეს, თუ პარლამენტში მისი დამტკიცების პროცესი დაიწყება, ძალიან საინტერესო სიურპრიზს ვპირდები

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი და ადვოკატი **მამუკა ტუსკაძე** „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ იუსტიციის საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად უნდო კანდიდატურები დაასახელა. მისი თქმით, სასამართლოში არსებული ძველი კლანები ცდილობენ უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტებას.

– ნინო სანდოძემ, რომელიც იუსტიციის საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელა, ჯერ 30 წელი მომისაჯა, შემდეგ სხდომა რამდენიმე საათით გადადო, დამარწმუნა, რომ კატასტროფულ მდგომარეობაში ვიყავი (30 წელი იმდენი იყო, რომ მთელი ცხოვრება ციხეში მომიწევდა ყოფნა), ამიტომ შემდეგ შევთანხმდით 13 წელზე. მან კანონი დაარღვია. მას პოლიტიკური შეკვეთა ჰქონდა. ამას დავამტკიცებ პარლამენტის სხდომაზე, როცა ეს საკითხი განიხილება, – აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

***– ბატონო მამუკა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზენაეს სასამართლოში დასანიშნად დასახელებულ კანდიდატურებს როგორ აფასებთ? წარმოდგენილ კანდიდატურებთან დაკავშირებით უკმაყოფილებაა, საზოგადოებამ გააპროტესტა. მგონი, პარლამენტმაც გადადო განხილვა.***

– თუკი წარმოდგენილი კანდიდატურები დამტკიცდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად და სამართლიანობამ ვერ გაიმარჯვა, ეს იქნება ქართული მართლმსაჯულების სისუსტის მაჩვენებელი, დიდი შავი ლაქა, რომლის გამოსწორებას მომავალში ბევრი წელი დასჭირდება.

***– რატომ?***

– წარმოდგენილი 10 მოსამართლე უკერავდა ან პროკურატურის შეკერილ საქმეებს აპრავებდა. მათ ნოტარიუსის ფუნქცია ჰქონდათ, ცდილობდნენ, რამენაირად მარწუხების ქვეშ მოექციათ ბრალდებული. ვგულისხმობ სისხლის სამართლის საქმეებს. ისინი ძირითადად სისხლის სამართლის და საერთო სპეციალიზაციის მოსამართლეები არიან. ამ მოსამართლეებს უამრავი ადამიანი ჰყავთ გასამართლებული, რომლებსაც დიდი ვადით, 20 და 30 წელს უსჯიდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, ან პრაქტიკულად, დაუმტკიცებელ დანაშაულზე. ისინი რეჟიმის მსახურები იყვნენ.

როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს, ამ მოსამართლეების კვალიფიკაციაში ნამდვილად არ მეპარება. ისინი კარგი იურისტები არიან. თუმცა, ერთია კვალიფიკაცია და მეორეა, როგორ იყენებს ის ამ კვალიფიკაციას.

მხოლოდ ათი მოსამართლე არ არის ასეთი, კიდევ ბევრია. ყველა ის მოსამართლე, რომელიც უზენაესი სასამართლოში დასანიშნადაა წარდგენილი, ჩვეულებრივი ბიუროკრატია.

***– რატომ ბიუროკრატი?***

– არამოსამართლე ადამიანები არიან. მათი შინაგანი რწმენა ნულს ქვემოთაა. ისინი სამართლიან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ. ნებისმიერი მოქალაქის, თუნდაც დამნაშავის მიმართ, სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული.

ათივე მოსამართლეს სხვადასხვა დროს, ერთი მხრივ, მიღებული აქვს უსამართლო გადაწყვეტილებები, მეორე მხრივ, ამ მოსამართლეების გადაწყვეტილებები წინა პარლამენტმა არასამართლიანად და უკანონოდ ცნო. პარლამენტმა 200-მდე პატიმარს მიანიჭა პოლიტიკური და უკანონო პატიმრის სტატუსი, ანუ ის პირები პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამო იყვნენ გასამართლებული.

ამ ქვეყანაში სასამართლო არ შეცვლილა, მოსამართლეები არ შეცვლილან და ამ სასამართლო კორპუსიდან, ასეთი წარსულის ათი მოსამართლე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უნდა გაამწესონ.

***– 200-მდე პატიმარი პოლიტპატიმრად კი იქნა აღიარებული, პარლამენტმა დადგენილება კი მიიღო, მაგრამ უშუალოდ, კონკრეტულად, ამ მოსამართლეების მიმართ პროკურატურის, სასამართლოს მიერ ნათქვამია, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს?***

– საქმეც სწორედ ეგაა. ოფიციალურად, დოკუმენტურად, ეს ნათქვამი არ არის, მაგრამ ამის დეკლარირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

***– მაინც რატომ?***

– არსებობს დოკუმენტები, რომ, მაგალითად, ჩინჩალაძე, ცისკაძეს, გზირიშვილს, პირადად ჩემი მოსამართლე ნინო სანდოძე, რომელსაც მე ძალიან საინტერესო სიურპრიზს ვპირდები, თუ



პარლამენტში მისი დამტკიცების პროცესი დაიწყება.

***– რა სიურპრიზს ჰპირდებით?***

– წარმოვადგენ ჩემი საქმის მასალებს ღიად და გამჭვირვალედ. დასამალი არაფერი მაქვს. იმ ინკრიმინებულ დანაშაულზე, რომელიც ბრალად დამდეს, პროკურორებმა და მოსამართლეებმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და დავალება შეასრულეს.

***– ანუ მოსამართლე ნინო სანდოძეს უნდობლობას უცხადებთ?***

– დიახ, ნინო სანდოძე დღეს სანდო ნინო ნამდვილად არ არის, ანუ პირდაპირ უნდობლობას ვუცხადებ ნინო სანდოძეს. ნინო სანდოძე და დანარჩენი 9 კანდიდატურაც შემსრულებლებია. ჩვენ დღეს ჭეშმარიტად მართალი მართლმსაჯულება გვჭირდება.

უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებად უნდა გავამწესოთ არა მოსამართლე წევრები, არამედ ის მოსამართლე წევრები, რომლებიც დღეს მოვიდნენ სასამართლო სისტემაში, ახალმოსულები არიან. მათ სრულიად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები აქვთ მიღებული, არ უთანამშრომლიათ არც სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმთან, არც დღევანდელ მთავრობასთან თანამშრომლობენ და არც მომავალში აპირებენ რომელიმე ხელისუფლებასთან თანამშრომლობას.

არსებულ ხელისუფლებას პირდაპირ დანაშაული აქვს ჩადენილი, რომ არ რეაგირებს ამ მოსამართლეებისა და პროკურორების დანაშაულზე. ისინი მხოლოდ და მხოლოდ დაკვეთებზე მუშაობდნენ, მხოლოდ და მხოლოდ დაკვეთების შესრულებით იყვნენ დაკავებულები. ამიტომ რადგან ისინი დარჩნენ, სასამართლო სისტემაში სრული კრახი გვაქვს.

სამოქალაქო საზოგადოება არ ეთანხმება იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელმაც წარმოადგინა მათი სია. მე მხარს ვუჭერ ნაზი ჯანეზაშვილს, ამ სამართლიანობისთვის მებრძოლ ადამიანს. საქართველოს პარლამენტს წარდგენილი კანდიდატურების დამტკიცება ძალიან გაუჭირდება.

***– ის სასამართლო პროცესები, რომლებიც ამ ხელისუფლების პირობებში გაიმართა სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლების წინააღმდეგ, მაშინაც შეკვეთებს ასრულებდნენ? ვანო მერაბიშვილის მოსამართლე შემკვეთების შემსრულებელი მოსამართლეა.***

– არა. თან ვანო მერაბიშვილის მოსამართლის კანდიდატურა არ არის წარდგენილი. მე კონკრეტულად უზენაეს სასამართლოში დასანიშნად წარმოდგენილ 10 მოსამართლეზე ვსაუბრობ. ამ პიროვნებებმა გამოხატეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ მუშაობის სურვილი, რაც მათი მხრიდან არაღირსეული საქციელია. ასეთი მაღალი პოსტი მათ არ ეკუთვნით. შეეძლოთ, არ გამოეხატათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გამწესების სურვილი. ნინო სანდოძეს თუ დაავიწყდა, მე გავახსენებ სხდომაზე პარლამენტში, როდესაც განხილვა შედგება.

***– რა დაავიწყდა ნინო სანდოძეს?***

– ნინო სანდოძეს შევახსენებ, როგორ ცდილობდა ის პატიმარზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, როგორ დაარღვია კანონმდებლობა სწორედ იმისათვის, რომ ფსიქოლოგიურად ეძალადა.

***– როგორ იძალადა ფსიქოლოგიურად?***

– თვალებდასივებული, ნაცემი პატიმარი მიუყვანეს სასამართლო სხდომაზე და არ უკითხავს, რა სჭირს ამ ადამიანს, რატომ არის პატიმარი დაშავებულიო. სხვა მოსამართლეებიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მტკიცებულებები მე ნინო სანდოძეზე მაქვს, მე წარვადგენ ამ მტკიცებულებებს მისი საკითხის პარლამენტში განხილვის დროს, როცა იქნება.

***– საკუთარ მაგალითზე საუბრობთ?***

– ჩემს მაგალითზე ვსაუბრობ, რა თქმა უნდა. სად მართლმსაჯულება და სად ნინო სანდოძე.

***– თქვენ და სხვებიც პრეტენზია გამოთქვამენ მათი წარსული საქმიანობის გამო.***

– მთავარი პრეტენზია დამოუკიდებლობის არქონაა.

***– დღეს არსებული კანონის შესაბამისად ხომ მოხდა წარდგენა?***

– კი, მაგრამ აქ არის კანონმდებლობის ხარვეზი. დღევანდელი კანონი არ ირღვევა, მაგრამ ზოგადად სამართლიანობა ირღვევა ხარვეზის გამო. უამრავი კვალიფიციური იურისტია, მაგრამ არ არის მოსამართლე. უზენაეს სასამართლოში არ ინიშნებიან არამოსამართლე წევრები, რაც სრულიად უსამართლო და უკანონო შეზღუდვაა.

თან კურიოზია, რომ არსად კანონებსა და დებულებებში არ წერია, რომ ეს აკრძალულია, მაგრამ მაინც არის შეზღუდვა, მაინცდამაინც მოსამართლე უნდა იყო, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გახდე.

***– ე.ი. მთელ სასამართლო სისტემაში 10 ისეთი მოსამართლე ვერ მოიძებნა, რომელთა მიმართაც პრეტენზია არ ექნება საზოგადოებას, არასამთავრობო სექტორს.***

– სასამართლო დღეს ყველაზე მეტად თავისუფალია. თავი გამოყო იმ ათეულმა, რომელსაც წარსული სუფთა არ აქვს. მე მგონი, ბოლო გაფართხალება უნდა იყოს. კიდევ იქნება ერთი ათეული, რომელსაც ყველაზე მეტი დანაშაული აქვს ჩადენილი და თავის გადარჩენისთვის იბრძვიან. ამიტომ წარმოადგინეს თავიანთი კანდიდატურები იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს დაცვით დადიან.

თუ მოხერხდა ის, რომ ისინი უვადოდ იქნებიან არჩეული უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებად, ეს მომავალ დანიშვნებზეც იმოქმედებს. აწი, შეიძლება, მათ დანაშაული აღარ ჩაიდინონ, მაგრამ უკვე ჩადენილ დანაშაულზე მათთვის პასუხის მოთხოვნა გაძნელდება. უსამართლოდ გასამართლებული ადამიანი ყოველთვის ცდილობს, პასუხი მოითხოვოს მის მიმართ ჩადენილი უკანონობის გამო.

***– ყველა მოსამართლე დაცვით დადის?***

– არა. მოსამართლეს სახელმწიფო დაცვა არ ეკუთვნის, მაგრამ უმრავლესობას დაცვა ჰყავს აყვანილი, იმდენი უსამართლო გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, რომ დაცვა სჭირდება.

***– დაცვა სახელმწიფო სახსრებით ჰყავთ დაქირავებული თუ საკუთარი სახსრებით?***

– საკუთარი სახსრებით ქირაობენ, რადგან მათ სახელმწიფო დაცვას არ უყოფს. სახელმწიფო დაცვა ეკუთვნის მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

***– ამბობთ, რომ დღეს სასამართლო დამოუკიდებელია ისე, როგორც არასდროს. მაშინ რა გამოდის, აბა, სასამართლოში არსებული ძველი კლანის წარმომადგენლები ცდილობენ უზენაესი სასამართლოში ადგილების დაკავებას?***

– ხელისუფლება აღარ ერევა სასამართლო მართლმსაჯულებაში და ამ მაფიოზებმა დრო იხელთეს. მათ შორის არიან კიდევ პაატა სილაგაძე, სანდოძე, გვრიტიშვილი, ჩინჩალაძე და სხვები. მათ იხელთეს დრო და უნდათ გაძვრნენ, მაგრამ არ გამოუვათ, პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის მიღებული მათ გამწესებაზე.

სასამართლოს ბოსებს უნდათ, გაძვრნენ და ჩადენილი დანაშაულები შერჩეთ. არც დამნაშავე რეჟიმი გასამართლებულა. რეჟიმი მაშინ გახდა რეჟიმი, როდესაც ციხეების გავსება დაიწყო მოსამართლეებისა და პროკურორების ხელშეწყობით. პროკურორ-მოსამართლე-პოლიტიკური მმართველობა იყო ერთიანი სისტემა.

***– 12 წელი გქონდათ მისჯილი?***

– დიახ და ნაციონალების დამარცხების შემდეგ გამათავისუფლეს. ამ დროს ექსპერტის დასკვნა არ დევს ჩემს საქმეში, დაზარალებული არავინაა. ორი ტომი საქმეა. არც ერთი ჩვენება ჩემ წინააღმდეგ მიცემული არ არის. ფურცლები მხოლოდ კანონებითაა შევსებული. როცა განხილვა იქნება, პარლამენტს დავარწმუნებ, რომ სანდოძემ ჩემთან დაკავშირებით პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა და მოვყვები იმ ისტორიასაც, რატომ იყო პოლიტიკური დაკვეთა.

# ისლამური სახელმწიფო დამარცხებული არ არის

## ვის წინააღმდეგ შემუშავდა ანტიტერორისტული სტრატეგია საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ 27 დეკემბერს წერდა, რომ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა ექსპერტებს წარუდგინა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სტრატეგია. ის ასახავს სახელმწიფოს ხედვას ტერორიზმისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

ამ პრეზენტაციამდე ცოტა ხნით ადრე გამოცხადდა აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილება სირიიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის თაობაზე იმ საბაბით, რომ ტერორისტული ორგანიზაცია ისლამური სახელმწიფო დამარცხებულია.

ბოლო წლებში ტერორიზმის საფრთხეს, განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში, ამ დაჯგუფების ჯიჰადისტები ქმნიდნენ. მათ წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში იბრძოდნენ დასავლეთის კოალიცია, ასევე – აზიის სახელმწიფოები.

იმაში, რომ ისლამური სახელმწიფო უკვე დამარცხდა, დონალდ ტრამპს არ ეთანხმებიან როგორც მისი თანამემამულეები, ისე ევროპელი მოკავშირეები და აზიელი სპეციალისტები.

გერმანიის თავდაცვის მინისტრ ურსულა ფონ დერ ლიაიენის განცხადებით, მოკავშირეების წრეში თანხმდებიან, რომ, სამწუხაროდ, ისლამური სახელმწიფო ბოლომდე დამარცხებული არ არის.

ამერიკელი ექსპერტების თქმით, ეს ისეთივე ცრუ განცხადებაა, როგორიც – ბუშის ნათქვამი 2003 წლის მაისში ერაყში მისიის დამთავრების შესახებ. რადიკალ ისლამისტებთან დაპირისპირების კერები რჩება სირიის აღმოსავლეთში – იქ, სადაც აშშ მჭიდროდ თანამშრომლობდა ქურთებთან, ასევე სირიის სხვა რაიონებსა და ერაყში.



ამერიკელი სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ ისლამური სახელმწიფო იატაკქვეშეთში გადავიდა და მისგან საფრთხის თავიდან აცილებას ათწლეულები დასჭირდება. ამერიკაში ფიქრობენ, რომ ტრამპმა თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დაუთმო თურქეთის პრეზიდენტ ერდოღანს და აჩუქა სირიაში გამარჯვება რუსეთის პრეზიდენტ პუტინს.

ერდოღანი აპირებს სირიაში მდინარე ევფრატის აღმოსავლეთით ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებას. თურქეთი ტერორისტებად თვლის ქურთთა რაზმებსაც, ხოლო ისლამური სახელმწიფოს თაობაზე ამბობს, რომ მას ანკარა საბოლოოდ გაანადგურებს.

ამერიკელი ანალიტიკოსების დასკვნით, ამერიკული კონტინგენტის გამოყვანა სირიიდან და ავღანეთიდან ტრამპის იმპულსური გადაწყვეტილებაა, რომელიც მძიმე შედეგს მოიტანს.

ირანელი კომენტატორების თქმით, ტრამპის ადმინისტრაციამ დღემდე ვერ მიაკვლია ისლამური სახელმწიფოს მეთაურს, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადისა და მის გარემოცვას.

მათი აზრით, ტრამპის ეს ნაბიჯი დამანგრეველი იქნება ამერიკელების მოკავშირე ქურთებისთვის იმ დროს, როცა მათ ანკარა ემუქრება.

ირანელების ინფორმაციით, სირიის აღმოსავლეთში, ანუ იქ, სადაც თურქეთი ანტიტერორისტულ ოპერაციას გეგმავს, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები არ არიან. ერდოღანს თავისი მოქმედებებით უნდა იმის ჩვენება, რომ მისი ქვეყნის ჯარს შეუძლია იყოს ამერიკელების ალტერნატივა.

მათი დასკვნით, ეს ქმედებები იწვევს სიტუაციის დესტაბილიზაციას რეგიონში. ისლამური სახელმწიფო ისარგებლებს ამ მდგომარეობით, გააძლიერებს თავის რიგებს და მიაღწევს გავლენას რეგიონში.

ირანში ფიქრობენ, რომ ვაშინგტონი ისლამურ სახელმწიფოს ავღანეთშიც აძლიერებს. თალიბების შეჯახებებს ავღანეთის ხელისუფლებასთან ისლამური სახელმწიფო იმისთვის გამოიყენებს, რომ დაიკავოს საკვანძო ადგილები.

ისლამური სახელმწიფოს ჯარისკაცებს შორის კავკასიელებიც იყვნენ. ბევრი მათგანი დაიხოცა, ზოგი სამშობლოში დაბრუნდა და მშვიდობიან ცხოვრებას ეწევა, ზოგიც მიმალულია.

ჯერ კიდევ 2015 წელს ისლამური სახელმწიფოს ბელადებმა თავიანთ კავკასიელ მიმდევრებს მოუწოდეს, სირია-ერაყში ჩასვლის მაგივრად შექმნან ტერორისტული ქსელები საცხოვრებელ ადგილებში.

ქსელების ფორმირებას ფინანსები დასჭირდა. ამ მხრივ პრობლემა შეიქმნა. ამის გამო ჯიჰადისტებმა ფსონი „მარტოხელა მგლებზე“ დადეს. ეს „მგლები“ უანგაროდ ემსახურებიან ტერორისტულ დაჯგუფებას და ტერაქტებს მარტო აწყობენ.

დიდი ალბათობით, ამ ყაიდის ჯიჰადისტები კავკასიაში კიდევ არიან.

# თაღლითური სქემა ამოქმედდა – მოსახლეობას განულებული ვალების დაბრუნებას სთხოვენ

– გამარჯობა, კითხვა მაქვს. სესხების განულების დროს vali.ge-ზე მიწერია, რომ თიბისი ბანკის 6.210 ლარი ჩამომეჭრა, ამ სესხზე მირეკავენ ამომღები კომპანია „ტრიბადან" და მთხოვენ იმავე თანხის შეტანას, ეს თანხა არავის ჩამოუჭრიაო და თუ შეგიძლიათ დამეხმაროთ გარკვევაში, მადლობა წინასწარ, – მსგავსი შინაარსის შეტყობინებები და ზარები „კომერსანტში" ყოველდღიურად შემოდის. ათობით ადამიანი გვიყვება, რომ ისინი ვალის განულების პროგრამაში მოხვდნენ, თუმცა, სესხის ამომღები კომპანიები მათ ჩამოწერილი ვალის გადახდას მაინც სთხოვენ. შედეგად, მოსახლეობა გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა. „ამნისტირებულმა" გადამხდელებმა ვერ გაარკვიეს, ჩამოეწერათ თუ არა ვალი, მათ არც ის იციან, რა უნდა მოიმოქმედონ იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის ამომღები კომპანია მათ ვალის დაბრუნებას სთხოვს.



„კომერსანტი" შეეცადა, ამ კითხვებზე პასუხი დარგის ექსპერტებისგან მიიღოს.

საბანკო და საფინანსო სფეროს წამყვანი ექსპერტი გოგიტა ცუცქირიძე აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს სესხი გაუნულდა, ვერანაირი სესხის ამომღები ორგანიზაცია თანხის დაბრუნებას ვეღარ მოსთხოვს. ექსპერტი ამბობს, რომ საკითხი სამართლებრივად უნდა დარეგულირდეს. მისი თქმით, ადამიანმა უნდა გაარკვიოს, რომელ ორგანიზაციაში ჰქონდა სესხი და იქ დაადასტურებინოს, რომ მას სესხი განულებული აქვს. შედეგად კი, როდესაც დაურეკავენ, ეს იქნება მტკიცებულება, რომ მას აღარ აქვს არაფერი გადასახდელი.

– თუ ადამიანმა ნახა, რომ მისი სესხი იყო განულებული, პირველ რიგში, უნდა მიმართოს ორგანიზაციას, სადაც ჰქონდა სესხი და იქ გაარკვიოს რაშია საქმე. შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაუგებრობას, უბრალოდ მოხდა ინფორმაციის დუბლირება და არ არის ვალი დაქვითული. თუ გაუგებრობა არ არის და არსებობს კონკრეტული მიზეზი, ეს მიზეზი უნდა იყოს განმარტებული. როდესაც დაურეკავს ამომღები ორგანიზაცია მან უნდა განუმარტოს რომელი მუხლით, რომელი კანონით და რომელი შეთანხმებით ხდება ეს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ვიღაც თაღლითობს. ადამიანებმა უნდა მიმართონ ეროვნულ ბანკს, საკრედიტო ინსტიტუტებზე ზედამხედველი მაინც არის ეროვნული ბანკი, – აცხადებს გოგიტა ცუცქირიძე.

სავარაუდო თაღლითური ქმედების შესახებ გვიყვება არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების" დამფუძნებელი გიორგი კეპულაძე. მისი ინფორმაციით, რამდენიმე ორგანიზაცია თვითონვე ააქტიურებს ანგარიშს და მსესხებლის ანგარიშზე მცირე თანხა შეაქვს, რათა ადამიანი სიიდან ამოვარდეს. „საზოგადოება და ბანკების" დამფუძნებლის თქმით, მოქალაქემ უნდა მოითხოვოს კონკრეტული დოკუმენტაცია, რის საფუძველზე სთხოვენ თანხის დაბრუნებას. კეპულაძე მოსახლეობას მოუწოდებს, რომ ზეპირი შეთანხმებით არავის არაფერზე დასთანხმდნენ და ყველაფერი იურიდიულად გააფორმონ.

– გაუგებრობები არსებობს და ალბათ „ფონდ ქართუს" ეცოდინება, რაშია საქმე, თუ მას გამოსყიდული აქვს პრობლემური აქტივები კონკრეტული კომპანიებისგან, ბანკებისგან თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისგან რატომ სთხოვენ ეს ორგანიზაციები ადამიანებს თანხის გადახდას? შეიძლება კომუნიკაციის პრობლემაც იყოს და იმ ორგანიზაციაში არ იციან კონკრეტულად ვის შეეხო სესხის განულება. შეიძლება რამდენიმე ორგანიზაცია ცდილობს საბოლოო ჯამში უფრო მეტი თანხა ამოიღოს. ის ვისაც საბოლოოდ ეს ვალი ჩამოეწერა კარგად არის ინფორმირებული საკუთარი დავალიანების შესახებ და მნიშვნელოვანია ამ ადამიანებმა ბოლომდე მიიყვანონ ეს საკითხი, – აცხადებს გიორგი კეპულაძე.

„კომერსანტი" დილიდან ცდილობს დაუკავშირდეს „ფონდ ქართუს", თუმცა ორგანიზაციაში ჩვენს ზარებს არ პასუხობენ.

# თბილავიამშენის ხელმძღვანელობა აქციონერების ბრალდებებს უარყოფს

უკვე ხუთი წელია რაც საავიაციო ქარხანასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა. როგორც საწარმოს ყოფილი აქციონერები აცხადებენ, ისინი წინა ხელისუფლების დროს წართმეული ქონების დაბრუნებას ითხოვენ, რომელიც დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება.

ამ საკითხის შესახებ „კომერსანტი" წერდა. კერძოდ, მოდავე აქციონერებს და მათ ადვოკატს კახა კოჟორიძეს მიაჩნდათ, რომ სასამართლომ არასწორი და უკანონო გადაწყვეტილება მიიღო და სააკაშვილის მმართველობის დროს შანტაჟით და მუქარით წართმეული ქონება ისევ სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ დატოვა. მეტიც, მათი თქმით, ქარხანა, რომელიც თავის დროზე წარმატებული და მომგებიანი იყო, დღეს პირიქით – ფაქტობრივად, განადგურებულია.

ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება აქციათა 94-პროცენტიანი წილის მფლობელი შპს თბილავიამშენის დღევანდელი ხელმძღვანელობა. პირველ რიგში, უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ქარხნის ზეწოლით ხელში ჩაგდების მოსაზრებას.

– ქარხნის ყოფილი ხელმძღვანელის პანტიკო თორდიას მიერ სახელმწიფოსთვის საწარმოს ნებაყოფლობით გადაცემას მოწმობს ის ფაქტიც, რომ იგი საწარმოს სახელმწიფოსთვის გადაცემის შემდეგ პირველი სამი წელი თავად ხელმძღვანელობდა საწარმოს, – აცხადებს კომერსანტთან საუბარში შპს თბილავიამშენის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი ტარიელ ჩიჩუა.

შპს თბილავიამშენის განცხადებით, სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შემდეგ, 2010 წლის ივნისიდან 2013 წლის ჩათვლით მოსარჩელე პანტიკო თორდია იკავებდა შპს თბილავიამშენის გენერალური დირექტორის თანამდებობას, ხოლო მოსარჩელე ნოდარ ბერიძე დღემდე იკავებს სს თამ თბილავიამშენის გენერალური დირექტორის პოსტს. ამასთან, მოსარჩელე კახაბერ ჟღენტი 2009 წლის ნოემბრიდან 2011 წლის მარტამდე იკავებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის განცხადებები, სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რაიმე სახის იძულების განხორციელების შესახებ, აბსურდია. აღნიშნულის თაობაზე ასევე ჩატარდა გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, რომელმაც 2016 წლის ოქტომბერში დაადგინა, რომ სახელმწიფოს მოხელეთა მხრიდან იძულებას ადგილი არ ქონია.

რაც შეეხება დღეს არსებულ მდგომარეობას, ამ ეტაპზე მოსარჩელე პანტიკო თორდია ხელმძღვანელობს თამ მენეჯმენტს და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №453 განკარგულების საფუძველზე საქმიანობას ახორციელებს ყოფილი 31-ე ქარხნის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე უპირატესი უფლებებით, ვინაიდან მის მიერ მოთხოვნილი პროდუქციის დამზადებას სსიპ სსსტც „დელტა" ახორციელებს მომუშავეთა საათობრივი ანაზღაურებისა და კანონით დადგენილი მინიმალური მოგების მარჟის ფასად, რაც არ ხდება სხვა დამკვეთ კომპანიებთან მუშაობისას. შესაბამისად, რაიმე სახის მიმდინარე ზეწოლაზეც საუბარი ზედმეტია.

დამატებით ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის №453 დადგენილების თანახმად თამ მენეჯმენტს გააჩნია კონკრეტული ვალდებულებები სახელმწიფოს წინაშე. კონკრეტულად:

1) ყოველწლიურად უნდა აწარმოოს არანაკლებ 25 მილიონი ლარის ღირებულების პროდუქცია;

2) დაასაქმოს კადრები, პირველ წელს 100 ადამიანი ხოლო ყოველ მომდევნო წელს არანაკლებ 30;

3) განახორციელოს ახალი პროექტები ავიამშენებლობაში, კერძოდ, სუ-25 მოდერნიზაცია, მსუბუქი და ზემსუბუქი საფრენი აპარატების პროტოტიპების დაპროექტება და დამზადება.

– მიუხედავად იმისა, რომ თამ მენეჯმენტი სარგებლობს საქმიანობის სრული თავისუფლებით, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, აღნიშნული ვალდებულების შესრულება დღემდე არ ხორციელდება. შესაბამისად, თამ მენეჯმენტის მიერ მთავრობის დადგენილების შესრულების გამოკვლევას ჩვენ დავაინიცირებთ უახლოეს მომავალში, და თუ აღმოჩნდა რომ ვალდებულება არ სრულდება, მოვითხოვთ მათი ყოფილი 31-ე ქარხნის ტერიტორიაზე მუშაობის პირობების გადახედვას, – აცხადებს შპს თბილავიამშენის გენერალური დირექტორი ტარიელ ჩიჩუა.

დღევანდელი ხელმძღვანელობა არც იმას ადასტურებს, რომ საწარმო ყოფილი აქციონერების მმართველობის დროს წარმატებული იყო და იშველიებენ იმჟამინდელ აუდიტორულ დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშს, რომლის თანახმადაც კომპანია სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

– განცხადება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული საწარმო იყო ძალიან წარმატებული ბიზნესი, არის სიცრუე, ვინაიდან ოფიციალური აუდიტორული დასკვნის თანახმად, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე – საწარმო თავის ბუღალტერიას აწარმოებდა უამრავი დარღვევით, 14-16 თვე ვერ ახერხებდა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, ვერ ასრულებდა და უხეშად არღვევდა პრივატიზების პირობებს, – ამბობს ამჟამინდელი გენერალური დირექტორი.




როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოს პირველ ინსტანციაში არ იქნა დაკმაყოფილებული თბილავიამშენის საქმესთან დაკავშირებით მოსარჩელეთა მოთხოვნა, დაბრუნებოდათ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოს წილი.

– მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები არ იყო საკმარისი დავის მათ სასარგებლოდ გადასაწყვეტად. სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, იგი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა არა იმიტომ, რომ იგი მიკერძოებულია, როგორც ამას მოსარჩელე მხარე ამტკიცებს, არამედ იმიტომ, რომ მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ვერ უძლებს კრიტიკას, – ასეთია სააქციო საზოგადოება თბილავიამშენის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი შპს თბილავიამშენის გენერალური დირექტორის ტარიელ ჩიჩუას პოზიცია.

**კომერსანტი**

# საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არჩილ გაჩეჩილაძის კანდიდატურა განიხილება

კომერსანტის ექსკლუზიური ინფორმაციით, საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არჩილ გაჩეჩილაძის კანდიდატურა განიხილება. დამტკიცების შემთხვევაში იგი კახა კიკნაველიძის პოზიციას ჩაიბარებს, რომლის თანამდებობიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში გავრცელდა.

არჩილ გაჩეჩილაძე წლების განმავლობაში იყო „გალტ&თაგარტის" ხელმძღვანელი. შემდეგ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა ეკირა, თუმცა, მისი სახელი საზოგადოებას ყველაზე მეტად ჰიდროელექტროსადგურების თემით დაამახსოვრდა.

არჩილ გაჩეჩილაძემ, როგორც კომპანია Georgia Global Utilities-ს ხელმძღვანელმა (GGU „საქართველოს კაპიტალში" შემავალი კომპანიაა, რომელიც ენერგეტიკულ მიმართულებაზეა ორიენტირებული) ჯერ კიდევ 2017 წლის მაისში დააანონსა, რომ მისი კომპანია ქვეყანაში ორ ჰესს ააშენებდა – მესტიაში ჭალა ჰესს, რომლის სიმძლავრეც 50 მეგავატი იქნებოდა, ხოლო გურიაში – 57-მეგავატიან ზოტის ჰესს. ორივე პროექტში 145 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელებულიყო.



იმ დროს გაჩეჩილაძე პირობას დებდა, რომ 2018 წლის დეკემბერში „ჭალა ჰესი" ექსპლუატაციაში შევიდოდა, თუმცა მშენებლობის დაწყებიდან მალევე ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო აქციები დაიწყეო და ჰესის მშენებლობაც შეჩერდა. მოლაპარაკებებში ეკონომიკის მინისტრის მოადგილესთან ერთად გაჩეჩილაძეც მონაწილეობდა, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ კი მშენებლობა განახლდა. მიუხედავად ამისა, „ჭალა ჰესი" დაპირებულ დროს არ დასრულებულა და სამუშაოებიც ამჟამადაც შეჩერებულია.

რაც შეეხება „ზოტის ჰესს", ჩვენი ინფორმაციით, მისი მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა.

არჩილ გაჩეჩილაძის სახელი გაჟღერდა მიმდინარე წლის სექტემბერშიც. იგი ფინანსთა მინისტრობის კანდიდატად მოიაზრებოდა.

არჩილ გაჩეჩილაძე 2018 წლიდან GGU (Georgia Global Utilities) ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორია, 2018 წლის ნოემბრიდან კი ამავე ჯგუფის წევრი კომპანიის – „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" გენერალური დირექტორის პოზიციას ითავსებს და ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 2017-2018 წლებში იგი ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას იკავებდა.

ამასთანავე, 2015 წლის სექტემბრიდან დღემდე არის სს „საქართველოს განახლებადი ენერგიის კომპანიის" (GRPC) დირექტორი.

თუმცა, მანამდე არჩილ გაჩეჩილაძე საქართველოს ბანკში მოღვაწეობდა. 2016-2017 წლებში საქართველოს ბანკის" აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიცია ეკავა კორპორატიული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმართულებით.

2015-2016 წლებში იყო BGEO ჯგუფის ფინანსური დირექტორი. 2009-2015 წლებში კი საქართველოს ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე საინვესტიციო მენეჯმენტისა და კორპორატიული საბანკო მომსახურების მიმართულებით.

2008-2009 წლებში არჩილ გაჩეჩილაძე იყო თიბისი ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეც.

რაც შეეხება კახა კიკნაველიძეს, ამჟამად რჩება საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მრჩევლად. სად გააგრძელებს მომავალში მუშაობას იგი, ამ დრომდე უცნობია. ასევე უცნობია ამჟამად უკვე ეროვნული ბანკის ყოფილი ვიცეპრეზიდენტისა და საქართველოს ბანკის ყოფილი გენერალური დირექტორის მურთაზ კიკორიას კარიერული მომავალი, რომელიც თავის დროზე საქართველოს ბანკის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კიკნაველიძემ შეცვალა.

არჩილ გაჩეჩილაძის „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით კომერსანტი „საქართველოს ბანკს" დაუკავშირდა, სადაც აღნიშნული ინფორმაცია ამ ეტაპზე არ დაადასტურეს.

**კომერსანტი**

# ლევან მურუსიძე უვადო მოსამართლედ აირჩიეს

ლევან მურუსიძე სააპელაციო სასამართლოში უვადო მოსამართლე გახდება. შესაბამისი გადაწყვეტილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გუშინ, 27 დეკემბერს, საღამოს მიიღეს.

მურუსიძეს საბჭოს 11-მა წევრმა დაუჭირა მხარი. მანამდე კი მოსამართლეს მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწია.

ლევან მურუსიძის სახელს უკავშირდება გახმაურებული საქმეები.

მან 2007 წელს სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ბრალდებულებს სასჯელები შეუმცირა.

დღეს მურუსიძე აცხადებს, რომ მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო.

ის ასევე იყო სულხან მოლაშვილისა და სხვა რეზონანსული საქმეების მოსამართლეც.

❖ ❖ ❖

გუშინდელი გასაუბრების პროცესი საჯარო იყო. მთავარი კითხვები სასამართლო სისტემაში კლანურ მმართველობას და სანდრო გირგვლიანის საქმეს ეხებოდა.

მურუსიძეს შეკითხვებს მხოლოდ საბჭოს არამოსამართლე წევრები უსვამდნენ, მოსამართლე წევრებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ისინი კარგად იცნობენ მურუსიძეს და მის საქმიანობას.

– იმ დროს ყველგან ირინა ენუქიძის ხმა ისმოდა და არ გქონდათ სურვილი, რომ მაშინ მისთვის სიტყვა მიგეცათ? – ჰკითხა ლევან მურუსიძეს საბჭოს არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ.

– თქვენ ახლა მორალურ პასუხისმგებლობას მაკისრებთ?! მე ამ შემთხვევაში სამართლებრივი ანუ კანონის კუთხით გამოვდივარ. მორალით კი შესაძლოა, ორივე ერთნაირად ვფიქრობდეთ, თუმცა საბოლოო ჯამში, მაინც კანონიდან გამომდინარე გამოვდივართ, – უპასუხა მურუსიძემ.

მისი თქმით, სანდრო გირგვლიანის საქმეს მაშინ უზენაესი სასამართლო ქვედა ინსტანციებში ვერ დააბრუნებდა.

– საკასაციო ინსტანციაში პროკურატურას მსჯავრდებულების სასჯელის დამძიმება არ მოუთხოვია, ხოლო დაზარალებულს სააპელაციო საჩივარი ჰქონდა გამოტოვებული. ანუ რეალურად შეუძლებელი იყო ამ საქმეზე სხვა გადაწყვეტილების მიღება, – განაცხადა მურუსიძემ.

– ეს ჩემთვის არაა დამაკმაყოფილებელი პასუხი, – უთხრა ანა დოლიძემ.

ლევან მურუსიძეს შეკითხვა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, ნაზი ჯანეზაშვილმაც დაუსვა. მას აინტერესებდა, რატომ მიიჩნევს თავს მურუსიძე სასამართლოს ლიდერად:




– თქვენ ახლახან ბრძანეთ, რომ ხართ სასამართლოს ლიდერი, რა ლეგიტიმაციის ლიდერი ბრძანდებით? რატომ ხართ თქვენ დღეს სასამართლოს ლიდერი?

– გეტყვით, რატომ ვარ ლიდერი. ლიდერი ზოგადად ყალიბდება იმ უნარ-ჩვევებით, რომელიც აქვს ადამიანს. ამიტომ თანამდებობაზე როდესაც არის ადამიანი, შეიძლება იყოს თანამდებობის პირი, მაგრამ არ იყოს ლიდერი, მაგრამ იყოს ადამიანი, რომელსაც არ ჰქონდეს თანამდებობა, მაგრამ იყოს ლიდერი რეალურად.

არ მინდა საკუთარი თავის ქება, მაგრამ ვფიქრობ, რომ მაქვს იმის უნარ-ჩვევები, რეალობა, ურთიერთობა, ამიტომ გეუბნებით, რომ მოიკითხეთ სასამართლოში რის საფუძველზე არის ლევან მურუსიძე ლიდერი, რას უშვრება ლევან მურუსიძე მოსამართლეებს, აშინებს? რამეს ჰპირდება? – ასე უპასუხა ლევან მურუსიძემ ნაზი ჯანეზაშვილს.

მან თეა წულუკიანთან ურთიერთობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ იუსტიციის მინისტრთან კარგი ურთიერთობა არასდროს ჰქონია.

– მიზეზი არ ვიცი, – დასძინა ბ-მა მურუსიძემ.

მისი თქმით, იუსტიციის მინისტრის გავლენა სასამართლო სისტემაზე არის ნული და ამ მხრივ საქართველო გამონაკლისია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

– ყველა მხრიდან აკრიტიკებენ სასამართლოს. ეს არის იმის ინდიკატორი, რომ სასამართლო დაადგა დამოუკიდებლობის გზას. საქართველოში შეიქმნა ისეთი კანონმდებლობა, რომლითაც იუსტიციის მინისტრს გავლენა არ აქვს სასამართლო სისტემაზე. ჩემი თხოვნაა პოლიტიკოსების მიმართ, რომ სასამართლოს ნუ გარევთ პოლიტიკაში. თუნდაც ამ უზენაეს სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებით და მათ საშუალება მივცეთ, რათა ნებისმიერ შეკითხვას გასცენ პასუხი, – განაცხადა მურუსიძემ.

გასაუბრების პროცესი 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

– მომეცა საშუალება, გამეცა კითხვებზე პასუხი, რომლებიც პატივცემულმა არამოსამართლე წევრებმა დასვეს და რომელთაც, ჩემთან დაკავშირებით უაღრესად კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდათ.

დასაბუთებული და ამომწურავი პასუხები გავეცი. რაც შეეხება მხარდაჭერას, ლევან მურუსიძეს მხარი დაუჭირო ამ პირობების გათვალისწინებით, დიდი ვაჟკაცობა სჭირდება, – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

# ლევან შონიას 5.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

გუშინ, 27 დეკემბერს, სასამართლომ სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ გუბერნატორ ლევან შონიას აღკვეთის ღონისძიების სახით 5.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.



– მოწმეთა ჩვენებებით, ამოღებული დოკუმენტაციით, ასევე გამოთხოვილი ინფორმაციებით დასტურდება, რომ ლევან შონიამ თანხა აიღო არა რაიმე ქმედების შესასრულებლად, არამედ ეს იყო საჩუქარი, – განაცხადა საქმის პროკურორმა ბექა ეჟიშვილმა.

საქართველოს კანონმდებლობით, საჯარო მოხელეს არ აქვს უფლება, აიღოს საჩუქარი, მათ შორის, ასეთი ოდენობის თანხა.

– ლევან შონიას ბრალად აქვს წარდგენილი კანონით აკრძალული საჩუქრის აღება. საქმეში მოპოვებული მასალებით არ დასტურდება, რომ ლევან შონიასთვის რაიმე ქმედების შესასრულებლად იქნა გადახდილი 10.000 დოლარი.

გარდა თავად ბრალდებულისა და თანხის გადამცემი პირის განმარტებისა, რომ ეს თანხა შონიამ გამოიყენა მეუღლის ონკოლოგიური ხარჯებისთვის, სხვა გარემოებებით დადასტურებული არ არის, – აღნიშნა პროკურორმა.

ლევან შონიასა და დაკავებული ზუგდიდის მერის, მისი მოადგილისა და კიდევ ორი პირის საქმე გაერთიანდა. პროკურორ ეჟიშვილის განმარტებით, ზუგდიდის მერისა და მისი მოადგილის საქმის ფარულ ჩანაწერში ლევან შონიას გვარი ფიგურირებდა, ასევე არსებობდა ოპერატიული ინფორმაცია, რის გამოც პროკურატურამ შონია გადაამოწმა.

– რაც შეეხება სხვა პირებს, მერს და მის მოადგილეს, საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემის სანაცვლოდ ქრთამი იყო აღებული. ეს განსხვავებაა ქრთამსა და უკანონო საჩუქარს შორის.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია ზუგდიდის ყოფილი მერი ლაშა გოგია, ვიცემერი გია გულორდავა, ასევე ერთ-ერთი სამსახურის უფროსი თენგიზ ქობალია და მოქალაქე, – განაცხადა ბექა ეჟიშვილმა.

სასამართლოს შემდეგ განმარტება გააკეთა ლევან შონიას ადვოკატმა იზა კალატოზიშვილმა.

– წარდგენილ ბრალს არ ვაღიარებთ, ეს იყო ქველმოქმედებისთვის განკუთვნილი თანხა, რომელიც ონკოლოგიურად დაავადებულ ადამიანს გადაერიცხა, – განაცხადა მან.

მისი თქმით, შონიასთვის 10.000 დოლარის გადარიცხვა ბიზნესმენის კეთილი ნებით მოხდა და ამის დადასტურებას ისინი სასამართლოზე შეძლებენ.

ადვოკატის განმარტებითვე, თანხის დეკლარირების ვადა გასული არ არის.

– თანხის მიზნობრიობაც ნათლად ჩანს საქმის მასალებიდან, ანუ რისთვის იყო ეს თანხა დახარჯული, ყველაფერი ჩანს. ეს იყო ბიზნესმენის კეთილი ნება, მან თავისი ნებისა და სურვილისამებრ გადაურიცხა ეს თანხა. დეკლარირების ვადა ჯერ არ ამოწურულა, აუცილებლად მოხდება ამის დეკლარირება დაწესებული დროის ვადით.

თავიდანვე ვთანამშრომლობდით გამოძიებასთან, მომავალშიც ვითანამშრომლებთ და ნამდვილად დავადგენთ ჩვენს სიმართლეს, – განაცხადა კალატოზიშვილმა.

ყოფილ გუბერნატორს პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია.

# ფონიჭალაში მამაკაცი მოკლეს

ფონიჭალაში სწრაფი კვებისთვის განკუთვნილ ჯიხურში მამაკაცი მოკლეს.



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისან-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფონიჭალაში მომხდარი დაჭრის ფაქტზე 1988 წელს დაბადებული ე.ა. თბილისში დააკავეს.

როგორც უწყების განცხადებაშია აღნიშნული, მას ბრალი ედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 26 დეკემბერს ფონიჭალაში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღით დაჭრა 1982 წელს დაბადებული რ.გ. და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, მიღებული დაზიანებების შედეგად, იგი კლინიკაში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# მამუკა ბახტაძე: „ბიზნესმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, რაც საბოლოო ჯამში დაგვეხმარება სიღარიბის დაძლევაში“

ჩვენი ამოცანაა, რომ ყოველწლიურად 50-60 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა შევძლოთ.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყებამდე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– ბიზნესთან ჩვენ გვაქვს ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია. სწორედ ბიზნესმა უნდა შექმნას სამუშაო ადგილები, რაც საბოლოო ჯამში დაგვეხმარება სიღარიბე ნაბიჯ-ნაბიჯ შევამციროთ და დავძლიოთ. ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინიციატივები, ბიზნესმა იცის ამის შესახებ. ინიციატივების დიდი ნაწილი შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესს. საქართველოში ჩვენ გვაქვს სიღარიბის პრობლემა, რომლის გამომწვევი წყარო არის რამდენიმე და მათ შორის ის, რომ ჩვენს ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის წილი არის მცირე. ეს უკავშირდებოდა იმას, რომ ის ეკონომიკური მოდელი, რომელიც იყო საქართველოში და ის შიდა წესები, რომლებიც მაშინ მოქმედებდა, ზღუდავდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საშუალებას. შესაბამისად, ის ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც ამოქმედდება 2018 წელს, ის სასტარტო კაპიტალის რეფორმა, ის დაზღვევის ინსტრუმენტები, რომლებიც ჩვენ ევროკავშირთან ერთად შევიმუშავეთ, ის ექსპორტის წამახალისებელი პროგრამები, ორიენტირებული იქნება სწორედ იმაზე, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა უფრო მეტი სამუშაო ადგილის გენერირება შეძლოს. ჩვენი ამოცანაა, რომ ყოველწლიურად 50-60 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა შევძლოთ. მე ვისურვებდი, რომ ამ სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდიოდეს, – განაცხადა ბახტაძემ.

მისივე თქმით, მთავრობა გააგრძელებს ძალიან მნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომ საქართველო იყოს უფრო ეფექტურად ინტეგრირებული გლობალურ პოლიტიკაში.

– ჩვენი ბაზარი საკმაოდ მცირეა იმისთვის, რომ ბიზნესმა აქტიური განვითარება შეძლოს, ამიტომ ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი პროექტები, რომ გავხადოთ ჩვენი კომპანიები უფრო კონკურენტუნარიანი. მაგალითისთვის შემიძლია დაგისახელოთ ლოგისტიკა, რომელიც საქართველოში მეწარმეებისთვის ჯერ კიდევ საკმაოდ მსხვილ ხარჯად რჩება. თუ გადახედავთ საერთაშორისო რეიტინგებს, სწორედ ამ პოზიციაში გვაქვს ჩვენ დიდი პოტენციალი. საგადასახადო პოლიტიკა იქნება მაქსიმალურად ლიბერალური. ჩვენ წარვადგინეთ ინიციატივები, რომ ე.წ. დრაკონული წესები ჯარიმებისა და საურავების დაწესების მიმართულებით, შეიცვალოს. დღგ-ს დაბრუნების რეფორმის ფარგლებში წელს ქართველ მეწარმეებს ნახევარ მილიარდზე მეტი დაუბრუნდათ. ამ პროგრამას მომავალ წელსაც გავაგრძელებთ, ჩვენი ამოცანაა, რომ 2018-2020 წლების განმავლობაში ჩვენმა მეწარმეებმა 1,5 მილიარდი ლარი დაიბრუნონ, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

# ჩხოროწყუს პოლიციის უფროსი ჯუმბერ იზორია სამსახურში აღადგინეს



ჩხოროწყუს პოლიციის უფროსი ჯუმბერ იზორია სამსახურში აღადგინეს. ამის შესახებ ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში დაუდასტურეს.

თავად ჯუმბერ იზორია აღნიშნავს, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდა.

ჩხოროწყუს პოლიციის უფროსმა ჯუმბერ იზორიამ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე ოქტომბერში დატოვა.

იზორიას განმარტებით, მის მიერ პოსტიდან გადადგომა იმ ბრალდებებს უკავშირდებოდა, რომლებიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გაჟღერდა.

სიუჟეტში საუბარი იყო ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოტანილი კონტრაბანდული სიგარეტის გაყიდვაზე.

ჯუმბერ იზორია კონტრაბანდულ სიგარეტის გაყიდვასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფდა.

# გენერალი კუზმუკი: „უკრაინა თავს დაიცავს!“

## სამხედრო მდგომარეობა გაუქმდა, რუსეთი კი მაინც იმუქრება



25 დეკემბერს უკრაინაში სამხედრო მდგომარეობა გაუქმდა. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა და უმაღლესმა მთავარსარდალმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა. მოსკოვიდან კი მუქარები კვლავ გაისმის.

– უკრაინა პროვოკაციისთვის ემზადება! მისი არმია დონბასში შეტევაზე 28 დეკემბერს გადავა, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მარია ზახაროვა.

ამრიგად, ომის დაწყების ვადებმა გადაიწია. თუ მანამდე 21-24 დეკემბერი სახელდებოდა, ახლა უფრო გვიანი თარიღი დაასახელეს. უკრაინის თავდაცვის ყოფილი მინისტრის, გენერალ ალექსანდრე კუზმუკის აზრით, ეს შემთხვევით არ ხდება.

– რუსეთი უკრაინაზე ძალისმიერ ზეწოლას განაგრძობს! ასეთი განცხადებებით მოსკოვი ცდილობს, მუდმივ სტრესში გვამყოფოს, – ამბობს გენერალი.

კუზმუკმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანს რუსეთის არმიის დაფინანსება გაიზარდა. შედეგად ჯარი 58%-ით დაკომპლექტებულია უახლესი სამხედრო ტექნიკით. ეს, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ავიაციას შეეხება. თუმცა უმთავრესი მაინც ის არის, რომ პუტინმა მოახერხა სამხედრო-სამრეწველო ქარხნების დიდი ნაწილის ჩაკეტილ ციკლზე გადაყვანა. უკრაინაც თავდაცვისთვის სერიოზულად უნდა მოემზადოს.

– რუსული საფრთხე მითი კი არა, რეალობაა, – მიიჩნევს კუზმუკი.

გენერლის აზრით, რუსების შემოჭრის შემთხვევაში ცხარე ბრძოლები გაიმართება. უკრაინული არმია იბრძოლებს. მას მთელი მოსახლეობა მხარში ამოუდგება.

– უკრაინა თავს დაიცავს! – ამბობს გენერალი.

უკრაინაში ინტერვენცია რუსეთისთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდება. დანაკარგები როგორც ფიზიკური, ასევე პოლიტიკური თუ მორალური, კოლოსალური იქნება. კუზმუკმა ამას ხაზი განსაკუთრებით გაუსვა.

– ჩემი აზრით, პუტინს ეს კარგად უნდა ესმოდეს. ამიტომაც ფართომასშტაბიან ინტერვენციაზე არ წავა, – თქვა გენერალმა.

მან იმაზეც მიუთითა, რომ უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში უკრაინისთვის რუსული საფრთხე რეალობა იქნება. ეს სახელმწიფოს ფუნქციონირების სულ სხვა რეჟიმზე გადასვლას მოითხოვს. უკრაინის ხელისუფლება, ისევე, როგორც ხალხი, სათანადო რეჟიმში ცხოვრებას უნდა მიეჩვიოს.

– ჩვენი პრიორიტეტი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება უნდა გახდეს, – ამბობს გენერალი.

უკრაინა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან ერთადერთია, რომელმაც ძლიერი და ბრძოლისუნარიანი ჯარი შექმნა. რუსეთი იძულებულია, ამას ანგარიში გაუწიოს. კუზმუკმა ეს განსაკუთრებით აღნიშნა და განაცხადა, რომ თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად უკრაინაში მართლაც ბევრი გაკეთდა.

– თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, – ფიქრობს უკრაინის თავდაცვის ყოფილი მინისტრი.

# დიმიტრი გორდონი: „ბელორუსი საფრთხეშია!“

რუსი ექსპერტი დიმიტრი გორდონი მიიჩნევს, რომ რუსეთის აგრესიის შემდეგი სამიზნე ბელორუსი იქნება. პუტინი უკრაინაში გაიჭედა. მას წარუმატებლობის გადასაფარად სწრაფი და იოლი გამარჯვება ესაჭიროება.

– ბელორუსი საფრთხეშია! – აცხადებს გორდონი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ, უკრაინელებისგან განსხვავებით, ბელორუსები დამოუკიდებლობისთვის არ იბრძოლებენ. ბელორუსული არმია ან დაიშლება, ან მტერს ჩაბარდება. რეფერენდუმზე კი რუსეთთან შეერთებას 60-62% დაუჭერს მხარს.

– ლუკაშენკო ალბათ სადმე გაიქცევა. ბელორუსი, რომლის სუვერენიტეტი დღეს ისედაც შეზღუდულია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არსებობას შეწყვეტს. ამისი საფრთხე რეალურია, – ამტკიცებს გორდონი.

ბელორუსი ჟურნალისტი ანდრეი ხარიტონოვი ამბობს, რომ მის ქვეყანაში რუსული გავლენა მართლაც ძალიან ძლიერია და ამაში პრეზიდენტი ლუკაშენკოა დამნაშავე. მისმა პოლიტიკამ ქვეყანა სუვერენიტეტის დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა.

– რაც შეეხება რუსეთის მიერ ბელორუსის ანექსიას, არა მგონია, რომ ეს რეალური იყოს. მჯერა, რომ ბელორუსი რაღაც სახით მაინც სახელმწიფოებრიობას შეინარჩუნებს, – განაცხადა ხარიტონოვმა.





# პუტინი ახალი რაკეტებით იმუქრება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ახალი სარაკეტო სისტემა „ავანგარდის“ გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

ის აცხადებს, რომ „ავანგარდი“ სრულიად ახალი ტიპის რაკეტაა, არნახულად ძლიერი და ეფექტური.

– 2019 წელს „ავანგარდი“ რუსეთის არმიის შეიარაღებაში იქნება. ეს ჩვენი არმიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ეტაპია, – ამბობს პუტინი.

# ისრაელის პარლამენტმა თვითდაშლა გამოაცხადა



ისრაელის პარლამენტმა თვითდაშლის შესახებ დადგენილება მიიღო.

მიზეზი მმართველი კოალიციის შიგნით შექმნილი დაძაბულობა გახდა, რაც თავდაცვის მინისტრ ლიბერმანის გადადგომამ გამოიწვია.

ახლა, თანახმად კანონისა, ვადამდელი არჩევნები უნდა ჩატარდეს, შემდეგ ახალი მთავრობაც ჩამოყალიბდება.

პრემიერ ნეტანიაჰუს მთავრობა ფუნქციონირებას გააგრძელებს მანამ, სანამ ახალი მინისტრთა კაბინეტი შეიქმნება.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ინდონეზიის ხელისუფლებამ ვულკანის გამო განგაშის დონე გაზარდა

ინდონეზიის ხელისუფლებამ ვულკან ანაკ კრაკატაუს აქტიურობის გაძლიერების გამო განგაშის დონე გაზარდა.

ამის შესახებ ინფორმაციას ტელეარხი ჩენელ ნიუს ეიშა ავრცელებს. ტელეარხის ინფორმაციით, ინდონეზიის ხელისუფლებამ ასევე შეცვალა ვულკანის აქტიურობის რაიონში ფრენების მარშრუტები, ვულკანიდან 5 კილომეტრის რადიუსში კი ფრენები აკრძალა.




„ყველა ფრენის მარშრუტი იცვლება იმის გამო, რომ ვულკანური ფერფლის გამოყოფამ განგაშის წითელ დონეს მიაღწია“, – ნათქვამია ინდონეზიის აერონავიგაციის სამსახურის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 22 დეკემბერს ინდონეზიას თავს დაატყდა ცუნამი, რომლის შედეგად 429 ადამიანი დაიღუპა.

ცუნამი სუმატრასა და იავას კუნძულებზე ვულკან ანაკ კრაკატაუს ამოფრქვევამ გამოიწვია.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# თორნიკე ოქრიაშვილი — „მაკრატელების“ ექსპერტი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კოვში, არც მსოფლიოში სხვაგან ასეთ ხინკალს ვერ აკეთებენ. ჩვენთან რომ ჩამოხვალთ, აუცილებლად წაგიყვანთ. საქართველოდან ზედმეტი წონით არასოდეს არ ვბრუნდები. მხოლოდ 6% მაქვს ცხიმი (რონალდოს 7% აქვს), რამდენიც არ უნდა ვჭამო, მაინც 67 კილოგრამს ვიწონი. ჩემი ყველა ქართველ ფეხბურთელს შურს, განსაკუთრებით ურალელ გიორგი ჭანტურიას.

***— თქვენ კრასნოდარი დატოვეთ და თავისუფალი აგენტი გახდით. რას იზამთ, როდესაც შვებულება დაგისრულდებათ?***

— ახლა უცნაური შეგრძნება მაქვს: კარიერაში პირველად ვარ უკლუბოდ და შემოთავაზებებს ველი. დიდი იმედი მაქვს, რომ შვებულების დასასრულს ყველაფერი გაირკვევა და საახალწლო დღესასწაულების შემდეგ ახალ გუნდთან ერთად შეკრებაზე გავემგზავრები. როდესაც საქართველოში ჩავალ, მინი-ფეხბურთის ნაკრების ბიჭებთან ერთად ვითამაშებ.

***— მინი? მტკივნეული არ იქნება მაკრატელას შემდეგ დაცემა?***

— არა, არა. ასეთი ფანტაზიორი არა ვარ. ხომ ხედავთ, ჩემზე უცბად როგორი ასოციაცია გექმნებათ. იმიტომ მინდა რუსეთში დარჩენა, რომ ყველას დავანახო, რომ მარტო მაკრატელათი კი არ შემიძლია გოლების გატანა, არამედ უბრალოდ ფეხბურთის თამაშიც ვიცი. ბევრი ტრავმა მქონდა და ხეირიანად ვერ წარმოვაჩინე თავი. დარწმუნებული ვარ, მეტი შემიძლია. უბრალოდ, პრაქტიკა მჭირდება.

***— ვისი ინიციატივით გაწყვიტეთ კრასნოდართან კონტრაქტი?***

— კრასნოდარამდე არასოდეს არ მქონია ტრავმა. არათუ მძიმე, არამედ არანაირი ტრავმა არ მქონია. ველაპარაკე გალიცკის, ჰაშიგს. არ მიმდიოდა იქ საქმეები და რაღაცის გამოცვლა იყო საჭირო. კონკურენციის არ შემშინებია. არა. მწვრთნელ მუსაევს უნდოდა როსტოვთან მატჩში ვეთამაშებინე, მაგრამ შეხვედრის წინ ისევ ტრავმა მივიღე. მადლობა კრასნოდარს, რომ თავისუფალი აგენტის სტატუსით გამიშვა.

***— როგორი მწვრთნელია მურად მუსაევი? მას ფეხბურთი საერთოდ არ უთამაშია, არადა, ძალიან ახალგაზრდაა, ფეხბურთელების ასაკის.***

— ფეხბურთი იმათზე ნაკლებად არ იცის, ვისაც უთამაშია. კარგად ხედავს თამაშს და ზუსტად გეუბნება რასაც ითხოვს. დამერწმუნეთ, ასე ყველამ არ იცის — ზედმეტი ყვირილისა და ისტერიკის გარეშე გადმოგცეს დავალება. მყავდა გენკში მწვრთნელი — პიტერ მასი, მეკარე, რომელსაც ნორმალურად ფეხბურთელების მოედანზე დაყენება არ შეეძლო.

***— კრასნოდარში ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან ურთიერთობას სერგეი გალიცკი აგვარებდა. გახსოვთ თქვენი პირველი საუბარი?***

— ჯერ კიდევ არ მქონდა კონტრაქტზე ხელი მოწერილი, როდესაც გალიცკის ჩემი თამაშების ვიდეო გაუგზავნეს. მან გადაწყვიტა ჩემი გუნდში აყვანა და ხაშიგი 2 დღით საქართველოში გამოუშვა. მას უყვარს ტექნიკური და ჭკვიანი ფეხბურთი, ამიტომაც მოვხვდი კრასნოდარში.

***— ცნობილია ისტორია, რომ პოლიციელი დანჯღრეული ავტომობილიდან გამოვიდა და გალიცკის უთხრა — მეგობარო, ერთი მოაწექი, რაო. მანაც არ დააყოვნა და მიეხმარა.***

— ეჭვი არ მეპარება, რომ მასე იქნებოდა. კაცი მილიარდერია, მაგრამ მასთან ნებისმიერ თემაზე საუბარი შეიძლება. როცა სერიოზულად დავშავდი, დამირეკა და მითხრა — თორნიკე, შენ ჩვენთან დარჩები. არ ინერვიულო, გაიკეთე ოპერაცია და მშვიდად იყავი. ფეხბურთზე მასთან არ მილაპარაკია. ფეხბურთელებთან მხოლოდ მაშინ ლაპარაკობს, როცა ისინი რამეს დააშავებენ. მიდის და კონკრეტულად უხსნის, რომ ასე არ შეიძლება. საბედნიეროდ, მე არაფერი დამიშავებია.

***— პირველად მყესები 2017 წლის მარტში, ლოკომოტივთან თამაშისას გაგიწყდათ. როგორ მოხდა?***

— შეცვლაზე შევედი. ძალიან მინდოდა თამაში და თავის გამოჩენა. ამიტომ დავრბოდი ყველგან, იქაც კი, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი. ბურთი ჰაერში იყო, ავხტი, მაგრამ ცუდად დავეშვი საყრდენი ფეხით, მუხლი „გამექცა“. ძალიან დიდი ტკივილი არ მიგვრძნია, მაგრამ ბურთი ხელში დავიჭირე და ყველას ეგონა დრო გამყავდა. ფეხბურთელები შემომეხვივნენ და უცებ კვირკველიამ დაიძახა — მართლა ცუდად არის, არ აფერისტობს. ისევ მინდოდა თამაშის გაგრძელება, მაგრამ გაქცევისას მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი, შეცვლა მოვითხოვე. კრასნოდარში დავბრუნდით. ფეხი თითქოს ნორმალურად არის, ტკივილები არ მაქვს. მადლობა ღმერთს, გადავრჩი — გავიფიქრე. ექიმთან კი მანქანით წავედი. სურათი გადამიღეს, მაშინვე არაფერი მითხრეს. მოგვიანებით მირეკავს ექიმი და მეუბნება — საოპერაციოდ უნდა წახვიდე. ოპერაციის შემდეგ 4 თვე ბურთს არ გავკარებივარ.

***— დაბრუნების შემდეგ 3 მატჩი ითამაშეთ და იგივე მეორე ფეხზე დაგემართათ.***

— მაშინაც შეცვლაზე შევედი. ერთხელ შევეხე ბურთს, მეორედ, მესამედ და... არავინ შემხებია. აქ უკვე ვიგრძენი ტკივილი, ფეხი გამიხურდა, ცრემლები წამომივიდა. მაგრამ არა ტკივილისგან, არამეს სიმწრისგან, რადგან ყველაფერი ხელახლა უნდა გამევლო.

***— ფოტო გაქვთ გადაღებული სამედიცინო ეტლში. რამდენად რთულია ფსიქოლოგიურად იქ ჩაჯდომა?***

— პრინციპში, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც გატარებენ. თუმცა, სჯობს, ჯანმრთელი იყო.

***— მეორე ტრავმის შემდეგ მოედანზე გასვლის არ გეშინოდათ?***

— არანაირი ეჭვები არ მქონია. ბიჭები მეუბნებოდნენ, ისე ხარ, თითქოს, 2 დღე არ გივარჯიშიაო. ამის გამო, არანაირი შიში არ მქონია და არც თავის დაზოგვა მიცდია. არ უნდა გეშინოდეს. განსაკუთრებით სევილიასთან გოლი დამეხმარა. ასეთი ტრავმის შემდეგ, ნებისმიერი გოლი თავდაჯერებულობას გმატებს.

***— კრასნოდარში კონონოვს მიუსწარით?***

— დიახ, მცირე ხნით. ის უფრო უკრაინის ჩემპიონატიდან მიცნობს. იქ კარპატის მწვრთნელი იყო, მე კი იმ გუნდის წინააღმდეგ ყოველთვის კარგად ვთამაშობდი. კონონოვს 2 წლით ადრე უნდოდა ჩემი კრასნოდარში აყვანა. გადასვლის შემდეგ მაშინვე ძირითადში აპირებდა ჩემს დაყენებას. სამწუხაროა, რომ უცბად წავიდა. 4-5-ჯერ მისი ხელმძღვანელობით ვივარჯიშე. ყველაფერი ძალიან მომეწონა. არ ყვირის, არ იგინება. ძალიან კომფორტული იყო, თან მისი თამაშის სტილი ჩემთვის მისაღებია.

***— გამოდის, ახლა სპარტაკში გადახვალთ?***

— ძალიან კარგი იქნებოდა! გადაეცით, რომ სიამოვნებით გადავალ.

***— კრასნოდარში ყველაზე მეტად ვისთან მეგობრობთ?***

— ჟიგულევთან. ჩემი ძმაა. ასევე გაზინსკი, სმოლოვი და მამაევიც. სინიცინი და კრიციუკი. მოკლედ, კარგი კოლექტივი იყო, მეგობრული.

***— როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც მამაევზე ვიდეო ნახეთ?***

— სიმართლე გითხრათ, შოკი მივიღე, როდესაც გავიგე, რომ ციხეში მოხვდა. ყველას უჩხუბია ცხოვრებაში. ამათ კი ისე დაესხნენ თავს, თითქოს კაცი მოეკლათ. 95-მა პროცენტმა ისიც არ იცის მართლები არიან თუ მტყუანები. კი, 4 ცემდა ერთს, მაგრამ არავინ იცის მან რა უთხრა. შესაძლოა, ისეთი რამ, რომ ვერ გააკონტროლო შენი მოქმედება.

***— ადამიანების ცემა არ შეიძლება.***

— არის მომენტები, როდესაც რამე სიტყვას ან ქცევას ვერ გაატარებ. რა თქმა უნდა, შესაძლოა, შეურაცხყოფა ან წყენა გადაყლაპო, მაგრამ ასეთი რამ არ ხდება. ცუდი ის არის, რომ კოკორინი და მამაევი მთვრალებიც იყვნენ.

***— რატომ ხართ დარწმუნებული, რომ შეურაცხყოფა მან მიაყენა და არა კოკორინმა და მამაევმა?***

— ცხადია, 100 პროცენტით ვერაფერს ვიტყვი, რადგან იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ მათ ხომ ვიცნობ? ისინი ტყუილად ჩხუბს არავის დაუწყებდნენ.

***— მამაევთან დეტალების გარკვევა არ გიცდიათ?***

— იმ პერიოდში საქართველოში ვიყავი. მაშინვე მივწერე, მაგრამ მესიჯი აქამდე არ მისვლია. იმედი მაქვს, ორივეს გამოუშვებენ — ისინი ფეხბურთს სჭირდება



***— ასეთი ამბავი წავიკითხე: ზაფხულის შეკრებაზე მამაევთან, შიშკინთან, სინიცინსა და კრიციუკთან ერთად ღამით სადღაც გაიქეცით და დილას სამედიცინო შემოწმებაზე უარი თქვით. შიშკინი და სინიცინი არ თამაშობენ, თქვენ კი გუნდიდან გაგიშვეს.***

— სისულელეა! მეგობარო, კრასნოდარში ეს უბრალოდ შეუძლებელია! ასეთი რამ არც ერთ ნორმალურ კლუბში არ ხდება. ჯერ ერთი, შეკრებაზე ყველა ხელისგულზეა. მეორეც, ეს დიდ ჯარიმას უკავშირდება — ხელშეკრულების მიხედვით, 10.000 ევროთი დაგაჯარიმებენ. ფიქრობთ, რომ ასე გავრისკავდი? მესამე, პროფესიონალები ასე არ იქცევიან. ეს ამბავი მეც წავიკითხე. კომენტარებში 150-დან 130-მა დაწერა, რომ ყველაფერი ეს სისულელეა. ძალიან გამიხარდა, რომ ხალხს ამის არ სჯერა.

***— გენკში მსგავსი ისტორია შეგემთხვათ, როცა სახლში ვერ მიხვედით.***

— დიახ, ამის გამო ძალიან მრცხვენია. მოდი, ნუღარ გავიხსენებთ, კარგი? დიდი ხანია გავიზარდე და ეს ამბავი დავივიწყე. თუ შენ არ გინდა, რომ ყველაფერი სწორად გააკეთო, მაშინ არავინ დაგეხმარება. საუკეთესო რჩევაა: ვარჯიშის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ გასახდელში არ უნდა შეხვიდე. უნდა დარჩე და ისე უნდა დაიღალო, რომ სხვა არაფერი მოგინდეს. ადრე ვფიქრობდი, რომ საათ-ნახევარი ვარჯიში საკმარისია და ყველაფერი ვიცოდი. ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი შეცდომა. რაღაცის მისაღწევად საჭიროა ორჯერ მეტი მუშაობა. ხუთი წლით უკან რომ დავბრუნდე, ბევრ რამეს შევცვლიდი. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი დაკარგული არ არის, უფრო სწორად, ყველაფერი წინაა. და თუ ისტორიები გაინტერესებთ, გეტყვით, ბელგიაში როგორ ვიჩხუბე.

***— კაპევერდელ ფეხბურთელთან?***

— დიახ. გუნდში 2 კვირის ჩასული ვიყავი და თამაშის შემდეგ სასეირნოდ წავედით. როცა დავბრუნდით, ეს კაპევერდელი ფეხბურთელი, ანელე ნკგონგა, მთვრალი იყო და შეურაცხყოფა მომაყენა. ჩემი გატეხილი ინგლისურით ვუთხარი — მომისმინე, ასე არ გინდა. ჩვენ ერთმანეთს 2 კვირაა ვიცნობთ. თუ ასეთი ხუმრობა შენთვის ნორმალურია, ჩემთვის მიუღებელიამეთქი! ჩვენ წავედით და მან ისევ რაღაც წამოროშა. ამიტომაც მიიღო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს არავინ იცოდა. თუმცა დილით ბაზაზე მივედი და აღმოჩნდა, რომ თურმე ყველამ იცოდა, ყველას მოუყვა. ორივე 10.000 ევროთი დაგვაჯარიმეს.

***— პირდაპირ ყბაში დაარტყით?***

— არა, რა ყბაში, უბრალოდ, სახეში გავულაწუნე. მერე დაწერეს რუსეთში და საქართველოში, თითქოს რასისტულად შევურაცხყვე. მაგრამ ეს უბრალოდ შეუძლებელია! მე არ ვარ რასისტი და ბევრი მეგობარი მყავს აფრიკიდან, მთელი მსოფლიოდან... სასაცილო ისაა, რომ ამ ჩხუბის შემდეგ ჩვენ გვქონდა დერბი, გენკი-გენტი. 2:2 იყო. 85-ე წუთზე ანელეს პასით გავიტანე და გავიმარჯვეთ. ამის შემდეგ გადავეხვიეთ, შევრიგდით და დავმეგობრდით. ჩვენ დღემდე გვაქვს ურთიერთობა, მუდმივ კავშირზე ვართ.

***— კიდევ ერთი ისტორიაა, რომ მერსედესით მიდიოდით, საიდანაც ბენზინი იღვრებოდა.***

— ღმერთო ჩემო, რაა?! გეფიცებით, ეს პირველად მესმის. მანქანასთან დაკავშირებული ამბავი მხოლოდ ის არის, რომ 180 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მივდიოდი, სადაც მხოლოდ 50-ით შეიძლებოდა. ეს იყო ნორმალური ტრასა, მაგრამ იყო დასახლებული ადგილი, სადაც მდებარეობდა სასამართლო. მართვის მოწმობის ჩამორთმევა სურდათ, მაგრამ ბოდიში მოვიხადე და ვთქვი, რომ შეზღუდვის ნიშანი, უბრალოდ, ვერ შევნიშნე. ისე, მართლა ვერ შევნიშნე სიბნელეში. ისინი ჩემთან სახლში მოვიდნენ, მაგრამ საბოლოოდ პირველ ჯერზე მაპატიეს.

***— რას ნიშნავს თქვენს გულზე დახატული არწივი?***

— რა არწივი? ეს ბუა.

***— რატომ ბუ?***

— მომწონს ბუ, ოღონდ, გემუდარებით, განმარტება არ მომთხოვოთ.

***— ამბობენ, რომ ჩელენტანოს სიმღერა შეასრულეთ. სიტყვები სპეციალურად ისწავლეთ?***

— ეს დონეცკში მოხდა, დიდი ხნის წინ, მეგობრის დაბადების დღეზე. ჩელენტანო ისედაც ყველამ იცის. სიმართლე გითხრათ, იტალიურს არ ვფლობ, მაგრამ ის სიმღერა შემიძლია. საერთოდ ვოცნებობ, რომ სასიმღერო ხმა მქონდეს, მაგრამ არა მაქვს. საინტერესო სანახავი იქნებოდა ჩემი სცენაზე შესრულებული „ჩიტო გვრიტო“.

***— გალიცკიმ რა კომენტარები გააკეთა თქვენს „მაკრატელებზე“?***

— სევილიასთან მატჩის შემდეგ გასახდელში შემოვიდა და მითხრა — არანორმალური ხარ. ბავშვობაში გამიტანია, ვარჯიშებზეც ვცდილობ, მაგრამ ათიდან ერთხელ თუ ვახერხებ. ახლა თამაშში სტატისტიკა ასპროცენტიანი მაქვს — ორიდან ორი.

***— რომელი გოლის შემდეგ უფრო იყო ემოცია ზენიტთან და სევილიასთან?***

— სევილიასთან გოლის შემდეგ არაფერი მახსოვს. ორი ტრავმის შემდეგ დავბრუნდი და გოლი. 15 წამი საერთოდ ამოხეული ჩემი მეხსიერებიდან, თითქოს გონება დავკარგე. მახსოვს თითქოს მუხლებზე გავსრიალდი, არადა ვიდეო ვნახე, დამაგდეს ბიჭებმა. ზენიტთან უფრო მახსოვს. შეცვლაზე შევედი 15 წუთით ადრე, ტაბლოს ვუყურებდი, რამდენი დარჩა დამთავრებამდე. ბოლოს რომ შევხედე, 94-ე წუთი იყო და გავრისკე. კარგია რომ გავიდა, თორემ ახლა ყველა მაგინებდა.

***— პოკერში ან სათამაშო აპარატებზე თუ გიმართლებთ?***

— ყოფილა, რომ გამმართლებია! თანხებზე არ მკითხოთ: ქართულ კაზინოში რამდენჯერმე მსხვილი თანხა მოვიგე. 10 და 17 ციფრებზე დავდე. თუმცა წამიგია კიდეც. რეალურად, აზარტული თამაშების დიდი მოყვარული არც ვარ, თუმცა საქართველოში ამისთვის ყველა პირობაა, ლამის ყველა ეზოში კაზინოა.

***— კითხვა „მაკრატელების“ ექსპერტს... რონალდოს გოლი იუვენტუსის კარში თუ ბეილის — ლივერპულთან ფინალში?***

— ვფიქრობ, ბეილის. რონალდომ დარტყმისთვის მომზადება მოახერხა. ბეილმა უფრო რთული პოზიციიდან დაარტყა, მაგრამ გადაწყვეტილება წამის მეათედებში მიიღო და არარეალური გოლი გაიტანა. მე ბეილის გოლს 5 მცდელობიდანაც ვერ გავიმეორებდი, მაგრამ რონალდოსას ზუსტად გავიმეორებ. ვფიქრობ, რონალდოსნაირი მარტო რონალდოა. მას სერიოზული ტრავმები ჰქონდა? მე ვერ ვიხსენებ. მასთან რომ აღმოვჩნდე, უპირველესად გავიგებდი, როგორია მისი ერთი რიგითი დღე. როგორ ახერხებს იცხოვროს ასეთი გრაფიკით და ყველაფერი მოასწროს. ადამიანს აქვს იმდენი ფეხბურთი, ბავშვები, რეკლამები, გადაღებები... არ იღლება, მაგრამ ის ყოველთვის პირველი მიდის ვარჯიშზე და ყველაზე ბოლოს გადის. და მაისურსაც ვთხოვდი. რა თქმა უნდა, რეალის, მაგრამ, თუ არ ექნება, უარს არც იუვენტუსის მაისურზე ვიტყოდი.

## შედეგები

**26 დეკემბერი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

| | |
|---|---|
| ფულემი-ვულვზი | 1:1 |
| ბარნლი-ევერტონი | 1:5 |
| კრ.პალასი-კარდიფი | 0:0 |
| ლესტერი-სიტი | 2:1 |
| ლივერპული-ნიუკასლი | 4:0 |
| მანჩესტერი-ჰადერსფილდი | 3:1 |
| ტოტენჰემი-ბორნმუთი | 5:0 |
| ბრაიტონი-არსენალი | 1:1 |
| უოტფორდი-ჩელსი | 1:2 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 19 | 16 | 3 | 0 | 43-7 | 51 |
| 2.ტოტენჰემი | 19 | 15 | 0 | 4 | 42-18 | 45 |
| 3.სიტი | 19 | 14 | 2 | 3 | 51-15 | 44 |
| 4.ჩელსი | 19 | 12 | 4 | 3 | 37-16 | 40 |
| 5.არსენალი | 19 | 11 | 5 | 3 | 41-25 | 38 |
| 6,მანჩესტერი | 19 | 9 | 5 | 5 | 37-31 | 32 |
| 7.ლესტერი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-22 | 28 |
| 8.ევერტონი | 19 | 7 | 6 | 6 | 31-29 | 27 |
| 9.უოტფორდი | 19 | 8 | 3 | 8 | 26-27 | 27 |
| 10.ვულვზი | 19 | 7 | 5 | 7 | 20-22 | 26 |
| 11.ბორნმუთი | 19 | 8 | 2 | 9 | 27-33 | 26 |
| 12.ვესტ ჰემი | 18 | 7 | 3 | 8 | 25-27 | 24 |
| 13.ბრაიტონი | 19 | 6 | 4 | 9 | 21-27 | 22 |
| 14.კრ.პალასი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-25 | 19 |
| 15.ნიუკასლი | 19 | 4 | 5 | 10 | 14-26 | 17 |
| 16.საუთჰემპტონი | 18 | 3 | 6 | 9 | 19-33 | 15 |
| 17.კარდიფი | 19 | 4 | 3 | 12 | 18-38 | 15 |
| 18.ბარნლი | 19 | 3 | 3 | 13 | 17-41 | 12 |
| 19.ფულემი | 19 | 2 | 5 | 12 | 17-43 | 11 |
| 20.ჰადერსფილდი | 19 | 2 | 4 | 13 | 12-34 | 10 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-სტოკი | 2:0 |
| ბოლტონი-როტერჰემი | 2:1 |
| ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-უიგანი | 2:0 |
| ქპრ-იფსვიჩი | 3:0 |
| ლიდსი-ბლექბერნი | 3:2 |
| მიდლსბრო-უენსდი | 0:1 |
| მილუოლი-რედინგი | 1:0 |
| ნორვიჩი-ნოტინგემი | 3:3 |
| პრესტონი-ჰალი | 1:2 |
| სუონსი-ასტონ ვილა | 0:1 |
| შეფლდი-დერბი | 3:1 |

### იტალია. სერია ა

| | |
|---|---|
| ფროზინონე-მილანი | 0:0 |
| ატალანტა-იუვენტუსი | 2:2 |
| ბოლონია-ლაციო | 0:2 |
| კალიარი-ჯენოა | 1:0 |
| სამპდორია-კიევო | 2:0 |
| ფიორენტინა-პარმა | 0:1 |
| რომა-სასუოლო | 3:1 |
| სპალი-უდინეზე | 0:0 |
| ტორინო-ემპოლი | 3:0 |
| ინტერი-ნაპოლი | 1:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 18 | 16 | 2 | 0 | 36-10 | 50 |
| 2.ნაპოლი | 18 | 13 | 2 | 3 | 34-15 | 41 |
| 3.ინტერი | 18 | 11 | 3 | 4 | 30-14 | 36 |
| 4.ლაციო | 18 | 9 | 4 | 5 | 27-20 | 31 |
| 5.სამპდორია | 18 | 8 | 5 | 5 | 31-21 | 29 |
| 6.მილანი | 18 | 7 | 7 | 4 | 24-19 | 28 |
| 7.რომა | 18 | 7 | 6 | 5 | 32-24 | 27 |
| 8.ტორინო | 18 | 6 | 8 | 4 | 23-18 | 26 |
| 9.ატალანტა | 18 | 7 | 4 | 7 | 33-25 | 25 |
| 10.ფიორენტინა | 18 | 6 | 7 | 5 | 25-18 | 25 |
| 11.სასუოლო | 18 | 6 | 7 | 5 | 28-26 | 25 |
| 12.პარმა | 18 | 7 | 4 | 7 | 17-21 | 25 |
| 13.კალიარი | 18 | 4 | 8 | 6 | 17-23 | 20 |
| 14.ჯენოა | 18 | 5 | 4 | 9 | 25-35 | 19 |
| 15.სპალი | 18 | 4 | 5 | 9 | 14-25 | 17 |
| 16.ემპოლი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-36 | 16 |
| 17.უდინეზე | 18 | 3 | 6 | 9 | 14-23 | 15 |
| 18.ბოლონია | 18 | 2 | 7 | 9 | 13-26 | 13 |
| 19.ფროზინონე | 18 | 1 | 7 | 10 | 12-36 | 10 |
| 20.კიევო | 18 | 0 | 8 | 10 | 13-35 | 8 |

### იტალია. სერია ბ

| | |
|---|---|
| ბრეშა-კრემონეზე | 3:2 |
| კარპი-ლივორნო | 1:4 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# ბრიტანელმა ტელეწამყვანმა კარდაშიანები გააკრიტიკა

ბრიტანული ტელეგადაცემის „დილა მშვიდობისა, ბრიტანეთო" წამყვანმა პირს მორგანმა საკუთარ ტვიტერში თავისი შეხედულებები გამოაქვეყნა კარდაშიანების ოჯახთან დაკავშირებით.

– თუ თქვენთვის საინტერესოა, თუ რატომ არიან დები კარდაშიანები ასეთი ხარბები, საკუთარ თავზე შეყვარებულები და ამაზრზენები, ნახეთ მათი დედის გუშინდელი ფოტოსურათი, – დაწერა მორგანმა.

მან საკუთარ წერილს თანდაურთო ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია კრის ჯენერი თავის საშობაო საჩუქართან ერთად. დებმა კარდაშიანებმა დედას აჩუქეს ჩანთა Goyard წარწერით RICH AS FUCK (უხამსი მდიდარი).

პირს მორგანი ცნობილია თავისი გულახდილი გამონათქვამებით ცნობილ ადამიანებზე. თებერვალში მან სუპერმოდელ კენდალ ჯენერს კარდაშიანების ოჯახში ერთადერთი ლამაზი ქალი უწოდა, ხოლო სექტემბერში მსოფლიოში ყველაზე მსუქან მოდელ ტეს ჰოლიდეის გაუგზავნა წერილი, რომელშიც გახდომისკენ მოუწოდა.

# ყოფილი ქმარი თვეების განმავლობაში თავს მოკლულ ცოლად ასაღებდა

ინდოეთში მამაკაცმა ყოფილი ცოლი მოკლა და შემდეგ შვიდი თვის განმავლობაში სოციალურ ქსელში მის გვერდს ამუშავებდა მისი სიკვდილის დასაფარად.

ივნისის დასაწყისში უტარპრადეშის შტატის ქალაქ გორაკხპურის მცხოვრები რახი შრივასტავი თავის ახალ ქმართან ერთად ნეპალში გაემგზავრა და საქორწინო მოგზაურობიდან უკან აღარ დაბრუნებულა. ქალის შეშფოთებულმა ნათესავებმა თვის ბოლოს პოლიციაში განცხადება შეიტანეს მის დაკარგვასთან დაკავშირებით. თუმცა გამომძიებლები გააკვირვა იმ ფაქტმა, რომ სოციალურ ქსელში ქალის გვერდზე ახალი ინფორმაციები ქვეყნდებოდა.

თავდაპირველად პოლიციამ ეჭვი ქალის მეუღლეზე მიიტანა, თუმცა ოქტომბერში მათ შრივასტავის მობილური ტელეფონი იპოვეს, რომელიც მთავარ მტკიცებულებად იქცა ქალის ყოფილი მეუღლის, ცნობილი ქირურგის დხარმენდრი პრატაპა სინგხის წინააღმდეგ. პოლიციამ მოახერხა იმის დადგენა, რომ ის ნეპალში იმავე დროს იმყოფებოდა, რა დროსაც იქ იმყოფებოდნენ ახლად დაქორწინებულები.

რამდენიმე დღის წინ მამაკაცი და მისი ორი თანამზრახველი დააპატიმრეს. ინდოეთის პოლიცია ნეპალელ კოლეგებს დაუკავშირდა და მათ განუცხადეს, რომ ჯერ კიდევ ივნისში აღმოაჩინეს ქალის ცხედარი, რომელშიც შემდეგ შრივასტავი ამოიცნეს.



ქირურგმა აღიარა, რომ ყოფილ მეუღლეს ვითომდა საქმეზე სალაპარაკოდ შეხვდა, ძილის წამალი ჩაუყარა კოქტეილში, შემდეგ კი კლდიდან გადააგდო.

მამაკაცის განმარტებით, ყოფილი მეუღლე მას აშანტაჟებდა და მისგან ფულსა და ქონებას მოითხოვდა.

# მამაკაცმა დედისა და შვილის გადარჩენას ცოლის გადარჩენა ამჯობინა

ინდონეზიის კუნძულ სუმატრას მცხოვრებს ცუნამის დროს არჩევანის გაკეთება მოუხდა იმისთვის, თუ ოჯახის წევრებიდან რომელი გადაერჩინა.

ტალღამ 46 წლის უდინ აჰოკის სახლს მას შემდეგ დაარტყა, რაც ის დასაძინებლად დაწვა. მამაკაცს გაეღვიძა და 70 წლის დედისადა ერთი წლის შვილის დასახმარებლად გაიქცა, მაგრამ ამ დროს შენიშნა, რომ წყალს მისი მეუღლე მიჰქონდა.



მან ცოლის უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა მოასწრო. ისინი გადარჩნენ და ერთ-ერთ თავშესაფარში აღმოჩნდნენ, სადაც ცუნამისგან ყველაზე მეტად დაზარალებული რაიონებიდან გადაჰყავდათ ადამიანები. მოგვიანებით აჰოკის დედისა და შვილის ცხედრები სახლის ნანგრევებში აღმოაჩინეს.

– იმის დრო არ მქონია, რომ დედა და შვილიც გადამერჩინა, – განაცხადა მამაკაცმა, – ამის გამო ძალიან ვწუხვარ.

ცუნამის შედეგად წარმოქმნილი ორიდან ექვს მეტრამდე სიმაღლის ტალღები ინდონეზიას 22 დეკემბერს დაატყდა თავს. ამის შედეგად 429 ადამიანი დაიღუპა, კიდევ 150 უგზო-კვლოდ დაკარგულად ითვლება. სტიქიამ 600-ზე მეტი ნაგებობა დაანგრია და 400-ზე მეტი გემი და ნავი დააზიანა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ქალმა უმნიშვნელო თანხად ოჯახის გამოკვების საშუალებას მიაგნო

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა ქალბატონმა ისაუბრა იმის თაობაზე, თუ როგორ მოახერხა, სულ რაღაც 18,75 ფუნტ სტერლინგად ხუთი ადამიანისგან შემდგარი ოჯახისთვის საშობაო სუფრა გაეწყო.

სამი შვილის დედა ამტკიცებს, რომ მოახერხა, საკვებზე ხარჯებისთვის ისეთი ორგანიზება გაეწია, რომ ოჯახის ყოველ წევრზე საშუალოდ 3,75 ფუნტი სტერლინგი დაეხარჯა. ამასთან, სუფრაზე ჰქონდათ ინდაური, შემწვარი ბოსტნეული, ფარშირებული პურის ბურთულები და შემწვარი ღორის ხორცი.

ბრიტანელის თქმით, ის ამჯობინებს, დრო დახარჯოს იმაში, რომ შეისწავლოს ახლოს მდებარე მაღაზიები და პროდუქტები ყველაზე დაბალ ფასად შეიძინოს. ამასთან, ის ყველაფერს წინასწარ გეგმავს და ასევე შემდეგ გონივრულად იყენებს წინა კერძის ნარჩენებს. ხშირად ის ბოსტნეულსა და კარტოფილს ტომრებით დაბალ ფასად ყიდულობს. ყველაფერს, რაც შესაძლებელია კერ-



ძის მოსამზადებლად გამოდგეს, ადრევე ყიდულობს და აუცილებლობის შემთხვევაში საყინულეში ინახავს.

საკვებზე გაკეთებული ეკონომიით გადანახულ თანხას კი ქალი ოჯახურ გართობაზე ხარჯავს, კერძოდ, კინოთეატრში ან თემატურ გასართობ პარკში წასასვლელად.

ქალის აღიარებით, მან ეკონომიურად ცხოვრება მესამე ბავშვის, ემბერის დაბადების შემდეგ ისწავლა. ის გამზადებულ საჭმელებს არ ყიდულობს და სუპერმარკეტებში სიარულს ბაზარში გამყიდველებთან ვაჭრობას ამჯობინებს.

# ბიჭი საშობაო საჩუქრებით უკმაყოფილო დარჩა და პოლიცია გამოიძახა

ცხრა წლის ბავშვმა პოლიცია იმის გამო გამოიძახა, რომ საშობაო საჩუქრები არ მოეწონა.



ინციდენტი გერმანიის ქალაქ ცეტელში მოხდა. პოლიციელები გამოძახების ადგილზე მივიდნენ და ძალიან გაბრაზებული ბავშვი დახვდათ, რომელმაც მათ ცუდი საჩუქრების გამო შესჩივლა. მან განმარტა, რომ შობაზე ის ვერ მიიღო, რაც თავად სურდა.

ოფიცრებმა ბავშვის სურვილების სია იმ საჩუქრებს შეადარეს, რომლებიც საახალწლო ნაძვის ხის ქვეშ ეწყო და ერთი დამთხვევაც კი ვერ აღმოაჩინეს. მათ ბიჭი დაამშვიდეს და განუმარტეს, რომ სანტას, თავისი ასაკიდან გამომდინარე, ცოტა დაბნეულობა დასჩემდა და საჩუქრები აერია.

# ქალი მეუღლის მოხიბვლას გველი წინდებით შეეცადა და საავადმყოფოში აღმოჩნდა



ტუნისში ქალი შეეცადა მეუღლე რეალურთან მიახლოებულ გველს მიმსგავსებული წინდებით მოეხიბლა, რის შემდეგაც საავადმყოფოში ამოჰყო თავი.

როდესაც ქმარი საძინებელში შევიდა და მეუღლის სამოსი დაინახა, წინდები ნამდვილ ქვეწარმავლებად აღიქვა, შევარდა სამზარეულოში, დანას ხელი დასტაცა და მისი აზრით გველს, რომელიც საწოლში იყო შეპარული, თავში გაუყარა. სინამდვილეში კი დანა მეუღლეს მარცხენა ფეხის ქუსლში ჩაარჭო.

ჭრილობა იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო. დაშავებული ქალი საავადმყოფოში ჭრილობის დასამუშავებლად და შესახვევად გადაიყვანეს.

# ასტროპროგნოზი

## 28 დეკემბრისათვის



**ვერძი** – მოულოდნელი ახალი ამბავი დაგაღონებთ. ახალი გატაცება ქალებისთვის ხანმოკლე აღმოჩნდება. **კურო** – შორს გამგზავრებაზე უარი თქვით. დღეს მხოლოდ ჩვეული საქმეებით დაკავდით. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა უმჯობესდება. **ტყუპები** – ახალი საქმის დასაწყებად ერთობ შეუფერებელი დღეა. ნუ გარისკავთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ ვითარებაში თავს ლაღად გრძნობთ. გიმართლებთ ყველაფერში. **ლომი** – დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა გმართებთ. ზედმეტი მიმნდობლობა შეცდომის დაშვების ალბათობას ზრდის. **ქალწული** – ფინანსური ოპერაციებისგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. აქტიურობა დღეს დაუშვებელია. **სასწორი** – ყოფითი საკითხების მოგვარებას ვარსკვლავები არ გირჩევენ. უკმაყოფილო და გაღიზიანებული ხართ. **ღრიანკალი** – ახლობლებთან რთული ურთიერთობა გაქვთ, რაც, პირველ რიგში, თქვენი ბრალია. ნუ იქნებით კატეგორიული და სულსწრაფი. **მშვილდოსანი** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **თხის რქა** – ნურაფერს დაგეგმავთ. რისკი გაუმართლებელია. ალკოჰოლს ერიდეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო და შემოქმედებითი პოტენციალი მაღალია. გრძელვადიანი გეგმები ამართლებს. **თევზები** – ოჯახში ურთიერთობები სტაბილურდება. უსიამოვნებების დავიწყებაში ახლობლები დაგეხმარებიან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქალაქი იტალიაში, სადაც ყოველწლიურად ტარდება საოპერო მომღერლების საერთაშორისო კონკურსი; 2. ფირმის, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 3. პოპულარული მინერალური წყალი უკრაინის კარპატებში; 4. მთიანეთი ევროპაში; 6. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 8. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 11. კუბური ჩქარტემპიანი ცეკვა; 12. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 16. ბაღჩეული ხილი; 17. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

**თარაზულად**: 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 5. მინერალური წყალი სამეგრელოში; 7. ხელის კუნთების სავარჯიშო, სატანვარჯიშო იარაღი; 9. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 10. გემთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 13. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 14. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 15. უდაბნო მონღოლეთსა და ჩინეთში; 19. ჩრდილო ამერიკაში მზარდი გიგანტური წიწვოვანი ხე; 20. ფრანგული მსუბუქი ავტომობილი; 21. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 22. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჭოროხი; 2. თუშეთი; 3. პლესეცკი; 4. ესკიმო; 6. ბარახასი; 8. პრიზმა; 11. ტალავარი; 12. ქუთაისი; 16. ჭინკა; 17. მანგო; 18. შერპი.

**თარაზულად:** 1. ჭიათურა; 5. სააბი; 7. ალავესი; 9. ომმეტრი; 10. შინშილა; 13. მარკონი; 14. ოაზისი; 15. იუტა; 19. მარტინი; 20. საფერავი; 21. გარპაგონი; 22. ყინული.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პენსნე; 2. მადერა; 3. ხანჯლური; 4. ელიავა; 6. ეჩხაბერი; 8. სტრიტი; 11. სოლიტერი; 12. კომოციო; 16. კაშია; 17. პორშე; 18. ყანწი.

**თარაზულად:** 1. პულმანი; 5. პირეი; 7. კამვოლი; 9. სორენტო; 10. პალიტრა; 13. ტუგრიკი; 14. ჰოპერი; 15. კოკი; 13. გორგაძე; 20. დომკრატი; 21. ყანდარელი; 22. ქილიკი.

# თბილისის ბიგ ბენდი რესპუბლიკის მოედანზე უფასო კონცერტს გამართავს



თბილისის ბიგ ბენდი 28 დეკემბერს რესპუბლიკის მოედანზე უფასო კონცერტს გამართავს.

ღონისძიებაზე სპეციალურად შერჩეული საკონცერტო პროგრამა იქნება წარმოდგენილი.

თბილისის ბიგ ბენდმა ტრადიციად აქცია, რომ უფასო კონცერტები გამართოს ყველგან, სადაც მიიწვევენ, რადგან მის ხელმძღვანელსა და მუსიკოს-შემსრულებლებსაც მიაჩნიათ, რომ მსგავსი აქტივობებით ისინი მომავალი თაობის გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ.

უფასო კონცერტებთან ერთად, ბიგ ბენდის წევრები უარს არც საქველმოქმედო კონცერტებზე ამბობენ. ისინი უკრავენ და მღერიან ყველგან, სადაც მათი ჩართულობა აუცილებელია.

გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მუსიკოსები და მომღერლები აქტიურად ემზადებიან მაესტროს გივი გაჩეჩილაძის 80 წლის იუბილესათვის, რომელიც მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

პარალელურად კი ბიგ ბენდს საგასტროლო ტურნეც ელოდება, რომელიც ევროპის ქალაქებს მოიცავს.

# მაია დარსმელიძემ საახალწლო კონცერტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა



მომღერალმა მაია დარსმელიძემ საახალწლო კონცერტში მონაწილეობაზე მიწვევა მიიღო, თუმცა მომღერალმა შეთავაზებაზე უარი განაცხადა:

— ყველაზე მეტად რაც ახლა მაინტერესებს, არის იმ „კოლეგების" სახეები, რომლებიც საახალწლო კონცერტებიდან ჩემს დაბლოკვას ითხოვდნენ და, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ამ ოცნებასაც აისრულებდნენ.

მოკლედ, მივიღე შემოთავაზება და საახალწლო გალას სიაშიც ვწერივარ.... ერთადერთი, რაც ყველაზე ძალიან მინდოდა, მინდოდა, რომ ვიღაც უნიჭო, გაურკვეველი მომღერლუშკები დარწმუნებულიყვნენ, რომ ჩემს სადმე მონაწილეობა-არმონაწილეობას ვერ გადამიწყვეტენ. იმედია, დარწმუნდნენ.

ახლა კი დროა, გავაჟღერო ჩემი დამოკიდებულებაც:

დასაფასებელია მერიის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი და დიდი მადლობა ამისთვის, მაგრამ ამ კონცერტში მონაწილეობას არ მივიღებ.

# ანრი ჯოხაძემ საახალწლო სიმღერა ჩაწერა

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ, ახალი წლის მოახლოებასთან ერთად, ერთგულ მსმენელს მორიგი ნამუშევარი შესთავაზა.

„თოვს და თოვს" — ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც ანრის დედამ, კომპოზიტორმა რუსუდან ჩხაიძემ დაწერა, სიმღერისთვის ვიდეორგოლი კი ანრიმ თავად გადაიღო.



მხიარულ სიმღერას ანრი ჯოხაძე, ბიგ თიკო და „მეკო სტუდიოს" პატარა მომღერლები ასრულებენ.

ფერადი და მხიარული ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ანრის ახალმა ნამუშევარმა უამრავი მოწონება, გაზიარება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

# უცნობებმა სასადილოს ყველა თანამშრომელს ფულიანი კონვერტები დაურიგეს

ამერიკის ტეხასის შტატში სასადილოს თანამშრომლებმა უცნობი მომხმარებლისგან საჩუქრად მიიღეს კონვერტი, რომელშიც 100 დოლარი იდო.

ქალაქ ჯორჯთაუნის დაწესებულების მენეჯერმა განაცხადა, რომ გარკვეული ხნით ადრე წყვილი დაინტერესდა, თუ რამდენი თანამშრომელი მუშაობდა მათ დაწესებულებაში. აღმოჩნდა, რომ მათ 25 თანამშრომელი ჰყავდათ.




გარკვეული დროის შემდეგ მომხმარებლები 25 საშობაო კონვერტით დაბრუნდნენ, რომლებშიც თითოეულში 100-დოლარიანი კუპიურა იდო.

— ადრე მქონია სიტუაცია, როდესაც ვიღაცას ჩვეულებრივზე მეტი თანხა გადაუხდია, მაგრამ პირველად ვნახე, თუ როგორ დააჯილდოვეს დაწესებულების ყველა თანამშრომელი, — განაცხადა მენეჯერმა.

საჩუქრების ადრესატები მომხდარმა შოკში ჩააგდო. ერთ-ერთმა თანამშრომელმა სახელად მაკლაიამ აღიარა, რომ ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ატირებულიყო.

— ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სხვებს დაეხმარონ, — განაცხადა მან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# გიორგი სისაურმა სანტას უსახლკარო, ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების გახარება სთხოვა

კალიგრაფისტმა გიორგი სისაურმა სანტას წერილი მისწერა და სთხოვა, რომ ნუ ავიწყდება ბევრი უსახლკარო ბავშვი, ბევრი ობოლი, ბევრი მზრუნველობამოკლებული ადამიანი, ძალიან ბევრი კარგი ბავშვი:



— გამარჯობა, სანტა!?

მე ის ვარ, ვინც ყოველთვის გავიწყდებოდა. ის, ვინც მთელი ბავშვობა გელოდა, ყველასგან ფარულად ყოველ ჯერზე გწერდა წერილებს და შენ მაინც არსად ჩანდი.

არასდროს დამიკარგავს იმის რწმენა, რომ არსებობდი, რადგან ჩემს სამეგობროში, ბაღში, სკოლაში, სამეზობლოში ყველა ჩემი თანატოლი შენზე საუბრობდა და იმაზე, თუ როგორ, ან რითი გაახარე ისინი, მათ შორის ბევრი ისეთი ბავშვიც, რომლებიც წლიდან წლამდე დროს სხვა ბავშვების ჩაგვრაში და დაცინვაში ატარებდნენ.

ვფიქრობდი ხოლმე სევდიანად ამ ყველაფერზე... გულჩათხრობილი ვიჯექი იმედგაცრუებული შობისა თუ ახალი წლის შემდეგ და ვფიქრობდი ჩემთვის, თუ რატომ გავიწყდებოდი. რა ხერხით არ ვცადე შენთან დაკავშირება — ნახატებით გაფორმებულ ლამაზად დაწერილ წერილს ბალიშის ქვეშ ვდებდი, ბუხარში ვაგდებდი, ცეცხლის ალშიც დამიწვავს წერილი და შემდეგ მისი ფერფლი შამპანურში ჩაყრილიც დამილევია, ბევრისგან მსმენია ეს უკანასკნელი ამართლებსო, მთელი გულითაც ჩამითქვამს სურვილი — იმ იმედით, რომ არამატერიალურადაც მიიღებდი ჩემს ნატვრას.

არადა, არაფერს გთხოვდი განსაკუთრებულს, მხოლოდ ის მინდოდა, ერთხელ მაინც მოსულიყავი და მეგრძნო, რომ ჩემთვისაც არსებობდი და მითოსური არ იყო შენით დამშვენებული „ჯადოსნური ახალი წლის ღამე".

განსხვავებული ბავშვი ვიყავი იმ გაგებით, რა გაგებითაც ბავშვობა სათამაშოების ფერადი სამყაროა. ჩემი სათამაშო ფუნჯი იყო და ფერადი ამ სამყაროში მხოლოდ საღებავები იყო, რომლითაც ვქმნიდი. კარგი ბავშვი ვიყავი, აზრიანი, ჩაფიქრებული, უბრალო, ცოტა სევდიანი და თავის სამყაროში გამოკეტილი, მაგრამ კეთილი. 12 წლიდან ვმუშაობდი, ვქმნიდი იმ შემოქმედებას, რომელშიც სამყარო თავის სხივებს ავანებდა, თავად შემოქმედი კი თავისი ენერგიით კვებავდა მათ. ეს ყოველივე ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა იყო ყოველთვის. ეს აღარ იყო ბავშვობა. ეს იყო ბავშვობაში ჩარჩენილი 12 წლის ზრდასრული ადამიანის ცხოვრება, სადაც „სისხლითა თუ ცრემლით" იქმნებოდა მშვენიერება.

ჩემი პირველი წიგნი, „მათხოვრის დღიურები", რომელიც 15 წლისამ დავწერე და გამოვეცი და რომელიც ალბათ არც გაქვს წაკითხული, იყო ამ ყოველივეს ანარეკლი. სწორედ ამ წიგნის წერისას 15 წლის გიორგი მიხვდა, არა იმას, რომ შენ არ არსებობდი, არამედ იმას, რომ შენი არსებობა გამორჩევითია და სანტაც და მისი ჯადოსნური ახალი წლის ღამეც მხოლოდ შეძლებულ ოჯახებში დაბადებული ბავშვების „საკუთრება" იყო.

ჩემმა პირველმა წიგნმა დამაფიქრა იმაზე, რომ შენ გავიწყდება ბევრი უსახლკარო ბავშვი, ბევრი ობოლი, ბევრი მზრუნველობამოკლებული ადამიანი, ძალიან ბევრი კარგი ბავშვი, რომლებიც წლების მანძილზე კარგადაც სწავლობენ, კარგადაც იქცევიან, მშობლებს ეხმარებიან, შრომობენ, ბავშვები, რომელთა გულში თუ სულშიც სინათლე სუფევს და ყოველ ახალ წელს იმედითა თუ ჯადოსნურობით განმსჭვალულნი გელიან შენ.

მე გავიზარდე, ახალი წელი კი მაინც, ყოველ ჯერზე თავისებურად მასევდიანებს. არასდროს გამქრალა ჩემში ის გიორგი და ის სინათლე, რომელიც შენ გელოდა. არაფერი მინდა შენგან, მე ყოველთვის გვერდით მყავს ჩემი ლურჯი ანგელოზები და თავად შემოქმედი, რომლებიც წლიდან წლამდე საოცარ სიტყვებს ფანტავენ ჩემი ხელიდან ამაზე ჯადოსნური კი ჩემთვის არც შენი მფრინავ მარხილს შებმული ირმები და არც საჩუქრებით დატვირთული სანატრელი ხურჯინია.

ერთადერთი ნატვრა დამრჩა შენთან: ნუ დაივიწყებ იმ ბავშვებს, რომლებიც ცრემლებნარევი თვალებითა და ანთებული გულით გელიან. ერთხელ მაინც იყავი მართლა ჯადოსნური. ერთხელ მაინც იყავი ყველასთვის...

პატივისცემით: შენ მიერ დავიწყებული ბავშვი პლანეტა დედამიწიდან.

# პოეტსა და ჟურნალისტ ქეთი თუთბერიძეს ემუქრებიან

პოეტსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტ ქეთი თუთბერიძეს რუსულ პროპაგანდაზე მომზადებული სიუჟეტის გამო ფაშისტური ჯგუფის წევრები ემუქრებიან.

საქართველოს პენცენტრმა კოლეგის მხარდასაჭერად სპეციალური განცხადება გაავრცელა:

— პენცენტრის სოლიდარობა ჟურნალისტ ქეთი თუთბერიძეს

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" ჟურნალისტ ქეთი თუთბერიძეს რუსულ პროპაგანდაზე მომზადებული სიუჟეტის გამო ფაშისტური ჯგუფის წევრები ემუქრებიან.

„ულტრანაციონალისტური მოძრაობის წევრი თორნიკე ვაშაკიძე რუსულ პროპაგანდაზე გაკეთებული სიუჟეტის გამო მხოლოდ შეურაცხყოფას კი არ მაყენებს, სარზე დასმით მემუქრება და სამსახურში, ანუ საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში მოლოტოვის კოქტეილების შემოგდებას აპირებს, როგორც თავად ამბობს. ვიღაც ტროლი, ამოფარებული გერმანულ სახელსა და გვარს, მეუბნება, რომ არაბი კაცებისგან ჯგუფურ სექსუალურ ძალადობას ვიმსახურებ. ნუ, გინებაზე არაფერს ვამბობ, უკვე მივეჩვიეთ ჟურნალისტები. არსებობს რაიმე სამართლებრივი ბერკეტი ასეთ დროს?" — წერს თუთბერიძე ფეისბუქზე.

„საქართველოს პენცენტრი" სოლიდარობას უცხადებს კოლეგას — პოეტსა და ჟურნალისტ ქეთი თუთბერიძეს. მიგვაჩნია, რომ მუქარა მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია. ერთი მხრივ, დანაშაულია ჟურნალისტის პროფესიული მოვალეობისთვის ხელის შეშლა, მეორე მხრივ კი ამას ემატება უფრო დიდი დანაშაული — მუქარა, რომლის საფრთხის რეალურობა არაერთხელ გამოჩენილა, განსაკუთრებით კი ულტრანაციონალისტური მოძრაობის მხრიდან. შეგახსენებთ, რომ ვიტალი საფაროვი სწორედ ერთ-ერთი ულტრანაციონალისტური დაჯგუფების წევრებმა მოკლეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ულტრანაციონალისტური და ფაშისტური დაჯგუფებების წევრები უკანონოდ ატარებენ ცეცხლსასროლ იარაღს. ერთ-ერთი მათგანი, თორნიკე ჭელიძე, სწორედ ამ მუხლითაა ბრალდებული, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება.



ცხადია, ჟურნალისტისადმი ღია მუქარის ფონზე, სხვა, ნაკლებად ხილული პროფესიის წარმომადგენელს კიდევ უფრო მეტი საფრთხე ელის, რადგან არაა გარანტირებული, რომ ხმას მიაწვდენს ფართო აუდიტორიას.

შსს-ს ცნობით, გამოძიება დაწყებულია სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით, რომელიც მუქარას გულისხმობს. „საქართველოს პენცენტრი" მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს, გამოიძიონ არა მხოლოდ ქეთი თუთბერიძისადმი მიმართული მუქარა, არამედ, ზოგადად, ამ ფაშისტური ჯგუფების საქმიანობა, რადგან ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ისინი აგრესიულად ცდილობენ ამ ქვეყნის მოქალაქეების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას და, უარეს შემთხვევაში, სასიკვდილოდაც უსწორდებიან მათ.

# მუსიკოს ლადო სიჭინავას საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტეს

მუსიკოს ლადო სიჭინავას, რომელიც უცხოეთში ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტეს.

ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვანმა თავად გაავრცელა:

— სამწუხაროდ, უარი მითხრეს ორმაგ მოქალაქეობაზე.

რა თქმა უნდა, მოტივიც უცნობია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ყველაფერი ამ ზაფხულს დაიწყო, ამ დროის განმავლობაში დაოჯახებაც მოვასწარი, ძველ მეგობრებს ჩავეხუტე, ახალი მეგობრები შევიძინე. როგორც იტყვიან — არაფერი ისე უბრალოდ არ ხდება. არ დაგიმალავთ... ძალიან მეწყინა. მეგონა, ამდენი გულისხმევა, მეგობრების მხრიდან მხარდაჭერა და გულშემატკივრობა ჩემი საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ... არა!...

არ გამოგვივიდა!

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებს, მშობლებს, საქართველოს საელჩო-კონსულატის მოხელეებს იტალიაში და ზოგადად ყველა ჩემ მიმართ კეთილმოსურნე ხალხს თანადგომისთვის. იმედია, მომავალში შეიცვლება რამე და მე ხელახლა შევიტან მოქალაქეობაზე განცხადებას.


„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით, შეუწყდეთ საქართველოს მოქალაქეობა:

**ვლადიმერ სიჭინავას, დაბადებულს 1983 წლის 22 სექტემბერს** საქართველოში;

ყველას უკლებლივ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ულევ სიხარულს, ჯანმრთელობასა და ხელოვნებაში ნეტარებას ვუსურვებ, ყველა ქართველსა და ქართველების კეთილმოსურნე ხალხს!... და ჩემი ჯგუფის სიმღერის მისამღერიდან ამონარიდით დაგემშვიდობებით:

„გახსოვდეს შენი კერა, გახსოვდეს მელოდია!"

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6639

ევრო — 3.0326

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3734

100 რუსული რუბლი — 3.8449

## ამინდის პროგნოზი 28 დეკემბრისთვის





## 25 დეკემბრიდან




### შიო გვეტაძე
# მონანიება

თოვლიან ქუთაისში გვიან ღამით ბოროტმოქმედები ქურდავენ ტყეშელიაძის ბინას. მოულოდნელად იღვიძებს ბინის პატრონი, ქურდებთან ბრძოლას იწყებს და ერთ-ერთ ბანდიტს მძიმედ დაჭრის. ბანდიტი გარბის.

იწყება გამოძიება, რომლის დროს გამოჩნდება კანონიერი ქურდი საშკა ჩერქეზი, რომელიც მთელ იმდროინდელ საბჭოთა ქურდულ სამყაროს შიშის ზარს სცემს.

გამომძიებელი ლევან მინდელი საშკა ჩერქეზს კვალში ჩაუდგება. მათი მოულოდნელი შეხვედრა ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 3 იანვრიდან




### იორამ ჩადუნელი
# საზღაური

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## იუმორი

სუპერმარკეტში ახალგაზრდა მამაკაცთან ხანში შესული ქალი მიდის და ეუბნება:

– თქვენ ძალიან გავხართ ჩემ გარდაცვლილ შვილს და ერთ თხოვნას ვერ შემისრულებთ?

– რა, პრობლემაა? მითხარით, რითი დაგეხმაროთ?

– როდესაც მასთან ერთად მაღაზიაში ვიყავი, სალაროსთან მისულს ბოლო მომენტში ყოველთვის მეძახდა, „დედიკო, ნაყინი რომ არ გვიყიდია!“ და მაშინვე ნაყინისთვის გარბოდა. აქ რომ შემოვდივარ, ყოველთვის ეს მახსენდება და თუ შეიძლება, სალაროსთან რომ მივალ, თქვენც ასევე დამიძახეთ.

– კი ბატონო!

ქალი სალაროსთან მივიდა და ის იყო, მოლარემ შენაძენის ფასი დაუანგარიშა, რომ ახალგაზრდამ დაუძახა:

– დედიკო, ნაყინი რომ არ გვიყიდია!

– მიდი, შვილო, გაიქეცი და აიღე.

ახალგაზრდა ნაყინის განყოფილებისკენ გაიქცა, ქალი კი მოლარეს მიუბრუნდა და ეუბნება:

– მე წავედი და ფულს შვილი გადაიხდის.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– როგორ გაგიმართლა! ჩემ ასაკში შესანიშნავად გამოვიყურები. თავისუფლად შემიძლია ლიფის გარეშეც ვიარო.

– მასე უკეთესიცაა, სახეზე ნაოჭები აღარ გემჩნევა.

•••

ერთი მოხუცი ქალბატონი მეორეს ეკითხება:

– შენ ნახე სიზმარი ჩვენ პრემიერ-მინისტრსა და მაღალ პენსიაზე?

– არა, არ მინახია.

– ნახე, ძალიან მაგარი სიზმარია!

•••

ქალი გამომძიებელს ჩვენებას აძლევს:

– როგორც ყოველთვის, ჩემი ქმარი სახლში მთვრალი დაბრუნდა და სკანდალი მოაწყო, ამ დროს ღია ფანჯარაში ჭექა-ქუხილი შემოიჭრა და თავში ტაფა ჩასცხო.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩვენი მანქანის მუხრუჭს რაღაც ჭირს...

– რას მეუბნები? როდიდან ერკვევი მანქანებში და ამას როგორ მიხვდი?

– ჩვენი მანქანა ხეზეა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა

– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები

– კანის დაავადებები

– უროლოგია

– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# თორნიკე ოქრიაშვილი — „მაკრატელების“ ექსპერტი



საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი ახლა უგუნდოდ არის. თუმცა, რუსი ჟურნალისტები არ ივიწყებენ და თორნიკეს მალდივის კუნძულებზე დაუკავშირდნენ, სადაც ოჯახთან ერთად ისვენებს.

***– ახლა მალდივებზე ხართ შვებულებაში. მანდ როგორ არის საქმეები?***

– დილის 9 საათზე გავიღვიძე და მაშინვე აუზში ჩავხტი. არც დამიბანია. არარეალურად ცხელა, ოთახში ბავშვები არიან (ოქრიაშვილს 2 ვაჟიშვილი ჰყავს, 6 და 3 წლის) და კონდიციონერს ნულზე ვერ ჩავრთავ. დღისით ბანანით ვისეირნეთ, ორჯერ გადავბრუნდით. მართალი გითხრათ, მალდივებზე განსაკუთრებულს ვერაფერს გააკეთებ. მხოლოდ თუ გაირუჯები, დანაყრდები და ჩოგბურთსა და ფეხბურთს ითამაშებ. ერთი საათის შემდეგ თამაში გვაქვს ადგილობრივ ყოფილ ფეხბურთელებთან.

***– რატომ აირჩიეთ მანდ დასვენება? მართლა ძალიან მოსაწყენია.***

– აქ პირველად ვარ, მაგრამ ოჯახთან ერთად კარგია. ჩვენთან ერთად ჟიგულევი და ზუევი (როსტოვი) და ობლიაკოვი (ცსკა) არიან. ასეთი სილამაზე არსად არ მინახავს. საერთოდ, შვებულების ბარსელონას დარ დიდ ქალაქებში გატარება მიყვარს. კიდევ 4 დღე და საქართველოში წავალ. მინდა მალე დავბრუნდე.

***– ხაჭაპური მოგენატრათ?***

– არა, მე ხინკალი მიყვარს. როგორც ჩავფრინდები, პირდაპირ ხინკლის საჭმელად წავალ. დედას ხინკლის გაკეთებით არ ვაწვალებ. რესტორანში ნაცნობებთან მივდივარ. არც მოს-

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

# იურგენ კლოპმა ლივერპულში მეასე შეხვედრა მოიგო



ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ნიუკასლი დაამარცხა 4:0 და ეს გამარჯვება იურგენ კლოპისთვის მეასე გამოდგა ლივერპულში.

კლოპი მერსისაიდულ გუნდს სათავეში 2015 წლის ოქტომბერში ჩაუდგა და წლევანდელი სეზონი ჯერჯერობით მისთვის ყველაზე წარმატებულია.

ამჟამად ლივერპული სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა და მეორეადგილოსან ტოტენჰემს 6 ქულით უსწრებს.

კლოპმა ნიუკასლთან მოგების შემდეგ განაცხადა, რომ წინ ჯერ კიდევ ბევრი შეხვედრაა და ჩემპიონობისთვის ლივერპულს ბრძოლა მოუწევს.

ამასობაში ინგლისურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლივერპული ტორგან აზარის შეძენით დაინტერესდა, რომელიც ამჟამად მიონხენგლადბახის ბორუსიის ღირსებას იცავს. ტორგანი ედენ აზარის ძმაა, თუმცა ის ედენივით ცნობილი არ არის.

ლივერპული, სავარაუდოდ, ზამთარშივე შეეცდება ამ ტრანსფერის განხორციელებას, მაგრამ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რა თანხის გადახდა მოუწევს მერსისაიდულ გუნდს. ბორუსია თავის ერთ-ერთ ლიდერს იაფად არ შეელევა.

# პსჟ რაბიოს 5 მილიონად ყიდის



პსჟ ადრიან რაბიოს გაყიდვას ზამთარში აპირებს, რადგან ზაფხულში ის თავისუფალი აგენტი გახდება და გუნდიდან უფასოდ წავა.

ყველასთვის ცნობილია, რომ რაბიო ბარსელონაში აპირებს კარიერის გაგრძელებას და ამის წინააღმდეგი არც კატალონიური კლუბია.

რაბიოს პსჟ-ში დარჩენა რამდენიმე მიზეზის გამო არ უნდა. ერთ-ერთი მიზეზი ტომას ტუხელთან და რამდენიმე თანაგუნდელთან დაპირისპირებაა, რის გამოც ის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

პსჟ მზად არის, რაბიო ბარსელონას 5 მილიონად დაუთმოს.

# ოლე გუნარ სოლსკიაერი: „მანჩესტერს დიდი პოტენციალი აქვს“



მანჩესტერ იუნაიტედის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა ჰადერსფილდთან გამარჯვების შემდეგ თქვა, რომ ის კმაყოფილია გუნდის თამაშით, თუმცა მანჩესტერს გაცილებით მეტი შეუძლია.

– მე ვუყურებ ჩემს ფეხბურთელებს და ვხვდები, რომ ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან. მოედანზე მათ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ, თუმცა ჩვენ კიდევ უნდა მოვუმატოთ, რომ გულშემატკივრები ბედნიერები იყვნენ. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ მანჩესტერს ძველი დიდება დავუბრუნო, – განაცხადა სოლსკიაერმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სისხლის თხევადი ნაწილი; 2. თამაზ მელიავას კინოკომედია; 3. პოპულარული ტყე-პარკი თბილისში; 4. ყაზახეთის დედაქალაქი; 6. ოფიცრის ჩინი; 8. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი; 11. მცენარეთა შემსწავლელი მეცნიერება; 12. ტრაგედია „ოიდიპოს მეფის“ პერსონაჟი; 16. მოკლენიჩბებიანი სპორტული ნავი; 17. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 18. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 5. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 7. სიტყვის ბოლოსართი გრამატიკაში; 9. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 10. თავად-აზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 13. სისხლის აღების ადათი სიცილიასა და კორსიკაში; 14. ფრანგი მოქანდაკე; 15. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 19. ფრანგი მწერალი, რომან „მამა გორიოს“ ავტორი; 20. აფრიკის სახელმწიფო ბეჩუალენდის დღევანდელი სახელწოდება; 21. ჰოლანდიური ლუდი; 22. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**